მყიდველის შესრულების მოთხოვნა და მისი მეორადი მოთხოვნები ქართული და უნიფიცირებული კერძო სამართლის მიხედვით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი - სალომე აბესაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2019 წელი

სარჩევი:

შესავალი 6

თავი 1. მყიდველის შესრულების მოთხოვნა 9

1.1.ვალდებულების შესრულება 9

1.1.1. ჯეროვანი შესრულება 10

1.1.2. კეთილსინდისიერი შესრულება 10

1.1.3. შესრულება დათქმულ ადგილას 11

1.1.4. შესრულება დათქმულ დროს 11

1.2. ნივთის გადაცემა 11

1.3. ვალებულების შესრულების მოთხოვნა 13

თავი 2. მყიდველის მეორადი მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლები 14

2.1 ვალდებულების დარღვევის არსი 14

2.2 ვალდებულების დარღვევის შემადგენლობა 16

2.2 ვალდებულების დარღვევის სახეები 17

2.3.1 ნივთობრივი ნაკლის მქონე საქონლის მიწოდება 17

2.3.2 მტკიცების ტვირთი ნივთობრივი ნაკლის მქონდე საქონლის მიწოდებისას 21

2.3.3 ნივთობრივი ნაკლის მქონე საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი მოთხოვნები. 22

I. ვადები: 22

II. საქონლის შემოწმება: 23

III. მყიდველის მიერ გამყიდველისთვის შეტყობინება: 23

IV. შეტყობინების ფორმა: 24

2.3.4. უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის მიწოდება 25

2.3.5 საქონლის მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევა. 26

2.4. ვალდებულების არსებითი დარღვევა 28

2.5. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები 30

2.5.1 დაუძლეველი ძალა (force majeure) 30

2.5.2. შესრულების გართულება 32

3. მყიდველის მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობის ხელშეკრულებაში 35

3.1.დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება 36

3.1.1. ნივთის შეცვლის მოთხოვნა 38

3.1.2 ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა 41
3.1.3. დამატებითი ვადის განსაზღვრა..... 43
3.2. ფასის შემცირება 45
3.3 ხელშეკრულებიდან გასვლა 48
3.3.1. შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ..... 49
3.3.2. არსებითი დარღვევა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა 50
3.3.3. დამატებითი ვადის განსაზღვრა..... 51
3.3.4. ხელშეკრულებიდან გასვლის შემზღუდავი გარემოება 52
3.3.5. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები 53
I. ნატურით გადაცემა 54
II.ფულადი ანაზღაურება..... 54
III. ზიანის ანაზღაურება 55
დასკვნა 56
გამოყენებული ლიტერატურა..... 59

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

გვ. - გვერდი

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ა.შ. - ასე შემდეგ

სხვ. - სხვა

წ. - წელი

იხ. - იხილეთ

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სუსგ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება

ევროპული პრინციპები - ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები

ვენის კონვენცია - საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის კონვენცია

უნიდრუას სახელშკრულებო პრინციპები - უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები

უცხოურ ენაზე:

BGB Bürgerliches Gesetzbuch, Code of Civil Law

BGH Bundesgerichtshof, Federal Court of Justice of Germany

UNCITRAL United Nations' Commission on International Trade Law

UNIDROIT International Institute for the Unificiation of Private Law

Vol. V o l u m e

UCC Uniform Commercial Code

ICC International Chamber of Commerce

GTZ German Technical Cooperation Agency

შესავალი

კვლევის აქტუალურობა. ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული სახე არის ხელშეკრულება. ხელშეკრულება (contractus) - გარიგების სახე, რომლის არსებობისთვის ორი ან რამოდენიმე პირის შეთანხმებაა აუცილებელი.[1] ამ უკანასკნელში, ყველაზე კარგად ჩანს კერძო სამართლებრივი ბუნება - სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი თავად განსაზღვრავენ და აწესრიგებენ ურთიერთობებს ერთმანეთში. მხარეები, თავიანთი ნების შესაბამისად, ნებაყოფლობით კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას.[2]

მხარეთა კერძო ავტონომია - კერძო სამართლის ფუძემდებლური პრინციპია და ყველაზე უკეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში წარმოიჩენს თავს.[3] სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ ნებისმიერი ქმედება, რომელსაც არ კრძალავს კანონი. კერძო ავტონომია არის შესაძლებლობა მხარეთათთვის ერთმანეთს შორის ურთიერთობა მოაწესრიგონ გარიგებების მეშვეობით.[4]

ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგება კერძო შეთანხმებების საფუძველზე ადამიანთა ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ურთიერთობათა უმრავლესობა, რომელსაც ჩვენ ვამყარებთ ყოველდღიურად, ასეთი კერძო შეთანხმებების საფუძველზე წარმოიშობა, ისე რომ ხშირად შესაძლოა ვერც გავაცნობიეროთ. საბჭოთა სისტემის რეჟიმის დროსაც კი ვერ მოხერხდა კერძო ავტომონიის ფარგლებში დამყარებულ ურტიერთობათა აკრძალვა, თუმც კი ყველა ღონეს იყენებდნენ მათი მასშტაბების მნიშვნელოვნად შეკვეცისთვის. კაპიტალისტურ სამყაროში, ადგილობრივი და საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო ავტონომია ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველია.[5] კერძო ინტერესებისა და ინიციატივების რეალიზაციის საფუძველი არის სწორედ კერძო სამართალი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. ეს უკანასკნელი, განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ხელშკეურლების მონაწილეები ნებაყოფლობითა და

---

[1] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი; თბილისი. 1999წ. გვ. 10.

[2] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ველადებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001 წ. გვ 44.

[3] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2004 წ. გვ.120.

[4] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2000წ. გვ 57; ციტირებულია Larenz, Karl. Allgemeiner Teil des deutschen burgerlichen Rechts.7.Aufl. 40-41.

[5] Baranauskas E., Zapolskis P., The Effect of Change in Circumstances on the Performance of Contract, Mykolas Romeris University, 4 (118), 2009, 198.

ორმხრივად კისრულობენ ვალდებულებების შესრულებას. ამით, ისინი საკუთარი ნებით იზღუდავენ თავისუფლების ფარგლებს. [6]

ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისერად შესრულების პრინციპს განამტკიცებს კანონმდებელი, რომლის დარღვევის შემთხვევაში აწესებს პასუხისმგებლობის შესაბამის ზომას. კერძო სამართალის ნორმები მიმართულია, როგორც ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების რეგლამენტაციისაკენ, ასევე ვალდებულების დარღვევისას მხარის შელახული ინტერესების დაცვაზე.[7] აქედან გამომდინარე, სახელშეკრულებო სამართლის ნორმები ხელშეკრულების მხარეებს სთავაზობს დაცვის ალტერნატიულ საშუალებებს, რომელსაც ირჩევენ თავად ან კანონის მოთხოვნის შესაბამისად. სამოქალაქო სამართლბრივი პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოდის. [8]

რომის სამართალის მიხედვით, ნასყიდობის ურთიერთობის დროს, თუ გამყიდველი მყიდველს გადასცემდა ნივთს, რომლიც გამოყენება დანიშნულებისამებრ შეუძლებელი იქნებოდა ან თუკი ნაკლის გამო ნივთი გაუფასურებულ იქნა, ვალდებულება შესრულებულად არ მიიჩნეოდა.[9] მას შემდეგ, კერძო სამართლის განვითარებასთან ერთად ჩნდება და ვითარდება მეორადი მოთხოვნის უფლებების ინსტიტუტი და იკავებს დომინირებულ ადგილს სამოქალაქო ბრუნვაში.[10]

თანამედროვე სამოქალაქო ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულებაა. ასევე, პირდაპირპროპორციულად ხშირია ნასყიდობის ხელსეკრულების დარღევის შემთხვევები. სწორედ საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის საგანია მყიდველის შესრულების მოთხოვნა და მისი მეორადი მოთხოვნის ისეთი უფლებები, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლა, რეალური შესრულება და ფასის შემცირება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მყიდველის შესრულებისა და მეორადი მოთხოვნის უფლებები საკმაოდ აქტუალური საკითხია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ საკითხის

---

[6] ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2000წ. გვ 58.

[7] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2004 წ. გვ.121.

[8] ძლიერიშვილი ზ, ვალდებულების შესრულება , თბილისი, 2006წ. 12გვ.

[9] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2004 წ. გვ.135.

[10] ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების , ხელშეკრულებიდან გასვლის და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა,სპეც გამოცემა; თბილისი 2008; გვ 159.

განხილვა ისეთ მნიშვნელოვან უნიფიცირებულ აქტებთან მიმართებაში, როგორიცაა ვენის კონვენცია,[11] ევროპისა[12] და უნიდორას სახელშეკრულებო პრინციპები.[13]

უშუალოდ ნაშრომის მიზანი არის მყიდველის შესრულების მოთხოვნა და მისი მეორადი მოთხოვნების, კერძოდ ხელშეკრულებიდან გასვლის, რეალური შესრულების და ფასის შემცირების მოთხოვნის ინსტიტუტის კვლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული ხარვეზების გამოკვეთის მიზნით და შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავება. აღნიშნული განხორციელდება ვენის კონვენციის, ევროპისა და უნიდროას სახელშეკრულებო პრინიცპების ანალოგიურ ინსტიტუტებთან შედარების გზით.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულ იქნა შედარებით სამართლებირვი და ანალიტიკური კვლევის მეთოდები. იგი ეფუძნება ქართული სამართლის ნორმებისა და უნიფიცირებული სამართლის შედარებას და ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს. ასევე, გამოყენებულ იქნა, სასამართლო პრაქტიკა, რომლის ფარგლებში საერთაშორისო გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდი.

---

[11] The United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (PECL); 1980 – გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების ყველაზე წარმატებულ უნიფიცირებულ აქტს. კონვენციას შეუერთდა და რატიფიცირება მოახდინა 79-მა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ.

[12] The Principles of European Contract Law (PECL); 1995 - ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები შექმნილია ევროკავშირის მიერ. მის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ სახელშეკრულებო სამართლის სფეროში ევროპის წამყვანი მეცნიერები. (კომისიას ხელმძღვანელობდა სამოქალაქო სამართლის დარგში ცნობილი დანიელი მეცნიერი ოლე ლანდო და ეს კომინის სწორედ მისი სახელითაა ცნობილი). ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები წარმოადგენს სახელშეკრულებო ნორმების კომპლექტურ მოდელს. იგი აწესებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ძირითად სახელშეკრულებო პრინციპებს. აღნიშნული პრინიცპების მიზანი არის ერთიანი ევრიპული სახელშეკრულებო სამართლის სისტემის შექმნა. ევროპის სახელშეკრულებო პრინციპების პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1995 წელს, მეორე ნაწილი - 1999 წელს, ხოლო მესამე ნაწილი - 2002 წელს.

[13] The principles of International Commercial Contracts (PICC), 2010 - უნიდროას სახელშეკრულებო პრინიცპები შეიმუშავა კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ მთავრობათაშორის ორგანიზაციას. იგი მდებარეობს იტალიაში, ქალაქ რომში. მას სავალდებულო ძალა არ აქვს, ვინაიდან არ არის არც კონვენციის და არც კანონის ფორმით შემუშავებული. მას ერთგვარად სარეკომენდაციო სახიათი აქვს. მიუხედავად ამისა, იგი მრავალი ქვეყნის სახელშეკრულებო სამართლის კანონმდებლობაში იქნა ასახული და გათვალისწინებული.უნიდროას სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების პირველად გამოიცა- 1994 წელს , მეორე - 2004 წელს, ხოლო მესამე გამოცემა - 2010 წელს.

თავი 1. მყიდველის შესრულების მოთხოვნა

სსკ-ს 361-ე მუხლის მიხედვით ,,ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“ სამოქალაქო კოდექსი, დაფუძნებულია შესრულებაზე და არა პასუხისგებაზე. ნორმათა სისტემის მიზანი სწორედ მხარეთა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაა.[14] ვალდებულების ძალით, კრედიტორს აქვს უფლებამოსილება მოსთხოვოს მოვალეს რაიმეს შერსულება. შესრულების საგანი, როგორც წესი მხარეთა მიერ თავადვეა განსაზღვრული, ნაშრომის განსახილველ შემთხვევაში კი მხარეები შებოჭილები არიან ნასყიდობის ხელშეკრულებით.[15] შესაბამისად, მყიდველს შესრულების მოთხოვნა წარმოეშვება ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის დროს.

1.1.ვალდებულების შესრულება

ვალდებულების შესრულება გულისხმობს, მოვალისგან იმ ქმედების განხორციელებას, რომლის მოთხოვნის უფლება კრედიტოს გააჩნია.[16] ,,pacta sum servanda” - ხელშეკრულების უზენაესი პრინციპია, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას უზრუნველყოფს.[17] შესრულება - ეს არის მიზანი, რომლისთვისაც იღწვიან მხარეები. სხვა შემთხვევაში გარიგება მოჩვენებითია.[18] არსებობს თეორიები ვალდებულების სამართლებრივი ბუნების შესახებ, კერძოდ, რა არის ვალდებულების შესრულება - იურიდიული თუ ფაქტობრივი მოქმედება. [19] პირველ შემთხვევაში, ვალდებულება არის იურიდიული მოქმედება, რომელის განხორციელების შედეგად ვალდებულება წყდება. მეორე თეორიის თანახმად, კი ვალდებულების შესრულება ხდება მოვალის აქტიური მოქმედებით. როგორც ვიცით, ვალდებულება შესაძლოა შესრულდეს მოქმედებისგან თავის შეკავებით, აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ ეს თეორია ხარვეზიანია.[20] სსკ-ს 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

---

[14] ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები,2005წ, გვ.4.
[15] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011წ. გვ. 303.
[16] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი,თბილისის, 2001 წ., გვ.37.
[17] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2004 წ. გვ.365.
[18] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011წ. გვ. 361.
[19] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი,თბილისი, 2004წ. გვ.366.
[20] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2004წ. გვ.366.

1.1.1. ჯეროვანი შესრულება

ტერმინი ,,ჯეროვანი“ ტერმინ ,,სრულფასოვნის“ სინონიმია.[21] საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს ჯეროვან და არაჯეროვან შესრულებას. არაჯეროვნი შერსულენაც ნიშნავს, რომ გამყიდველი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, თუმცა ხარვეზიანად.[22] ეს ნიშნავს, იმას, რომ ვალდებულების შესრულება არ შეესაბამება, გარიგებას, რაც მხარეებს შორის იქნა დადებული. ასევე, თუ როგორი შესრულებაა ჯეროვანი, მხარეების მიერ ხელშეკრულებით თავად განისაზღვრება. ვალდებულებითი ურთიერთობის მხარეები თავად უნდა შეთანხმდნენ, თუ რა ჩაითვლება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჯეროვან შერსულებად. თუკი, ისინი არ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით, ასეთ დროის გამოყენებულ იქნა კანონით დადგენილი წესები,[23] საერთაშორისო კონვენციები და წეს-ჩვეულებები. სსკ-ის 380-ე მუხლის მიხედვით, თუ შესრულების ხარისხი დეტალურად არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით, მაშინ, მოვალე ვალდებულია შეასრულოს სულ ცოტა საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს კრედიტორს საშუალო ხარისხის ნივთი.[24]

1.1.2. კეთილსინდისიერი შესრულება

კეთილსინდისიერება განვითარებული ქვეყნებში წარმოადგენს სამართლის ქვაკუთხედს.[25] სამოქალაქო ბრუნვის განხორციელება, სამოქალაქო ურთიერთობის წარმატებული განვითარება სწორედ მხარეთა კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.[26] იგი გულისხმობს, მხარეთა მიერ ერთმანეთის უფლებათა პატივისცემასა და პასუხისმგებლობით მოპყრობას.[27] ხშირად, კეთილსინდისიერებით აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულებაში არსებული ხარვეზი.[28] კეთილსინდისიერების პრინციპი თავის თავში მოიცავს, ასევე ვალდებულების ჯეროვან შესრულებასაც. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე, მხარეს ევალება კონტრაჰენტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება. [29] იგი დაკავშირებულია დიდწილად მორალურ სტანდარტებთან და ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას, ერთგულებას და სხვა.[30]

---

[21] ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შერსულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი ,,სარჩევი“, #1 (2),თბილისი, 2011წ, გვ.9.

[22] ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008 წ. გვ.130.

[23] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი,თბილისი, 2004წ. გვ. 374.

[24] Farnsworth, Allan Farnsworth, Precontractual Liability and Preliminary Agreements: Fair Dealing and Failed Negotiations, Columbia Law Review, Vol. 87, No. 2, 1987, pp. 259-60.

[25] Palandt/Heinrichs, $242, Rn 3.

[26] Markesinis/Lorenz/Dannemann, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution : A Comparative Introduction, 1997, p. 60.

[27] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2004წ. გვ.356.

[28] Larenz, Lehrbuch des Sculdechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, 1987, S.94.

[29] იოსელიანი ს., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნალი ,,ქართული სამართლის მიმოხილვა“. სპეც. გამოცემა, თბილისი, 2007 წ, გვ.16.

[30] Zummermann\whittaker, Good Faith in Europian Contract law, Cambridge University Press, 2000, p.31.

1.1.3. შესრულება დათქმულ ადგილას

შესრულების ადგილი როგორც წესი მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრადი საკითხია. ამ შემთხვევაში, მხარეთა ნება კანონზე უპირატესია. ზოგჯერ ვალდებულების ადგილი საგულისხმოა კონტრაჰენტების მიერ და შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულების ან ვალდებულების საერთო არსიდან.[31] კანონმდებლობით დადგენილი წესის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა არც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული შესრულების ადგილი და არც საგულისხმოა შინაარსიდან გამომდინარე.[32]

სსკ-ს 362-ე მუხლი მიუთითებს, რომ ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში, მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისთვის იმყოფებოდა. ბ) გვარეობითი საგნის შემთხვევაში, მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მსგავსი მიდგომა აქვს სხვა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკას.[33]

1.1.4. შესრულება დათქმულ დროს

როგროც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრადია ხელშეკრულების მიერ.[34] ამავდროულად, ვალდებულების შესრულების დრო არის ხელშეკრულების არსებითი პირობა, რაც ნიშნავს, რომ მხარეები ვალდებულნი არიან შეთანხმდნენ დროზე.[35] შერსულების დრო შესაძლოა იყო კონკრეტული კალენდარული დღე, შესაძლოა დაკავშირებული იყოს რაიმე მოვლენასთან. მხარეთა მიერ შეთანხმებული ვადის გადაცილება, კი ცალსახად მეორადი მოთხოვნის საფუძველი შეძლება გახდეს.[36]

1.2. ნივთის გადაცემა

ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. იგი დადებულიად ითვლება, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან ყველა არსებით პირობაზე (ფასი და საგანი).[37] აღნიშნული პირობების

---

[31] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი,თბილისი, 2004 წ. 387 გვ.

[32] ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005წ. გვ.15.

[33] ძლიერიშვილი ზ., სახელსეკრულებო სამართალი, თბილისი, 2004 წ, გვ. 389.

[34] Münchener Kommentar (-Kramer, § 145 Rn. 10). იხ. Markesinis, Unberath, Johnston, The German Law of Contract (A Comparative Treatise) Second edition, 2006. p. 62.

[35] Principles, Definitions and Model Rules of European Private Law. Draft Common Frame of Reference (DFRC)., 4:2013 (3); UNIDROIT Principles of International Commercial Contracts., http://unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294 (ნანახია 15.05.2019)

[36] Nussbaum, Comparative Aspects of the Anglo-American Offer-and-Acceptance Doctrine, Columbia Law Review, Vol. 36, p. 920.

[37] ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 6.04.2016, 477 მუხლი, ველი 2.

გარდა, მხარეებმა სხვა ნებისმიერი პირობა შეიძლება აქციონ არსებითად.[38] ხელშეკრულებისა და სამოქალაქო კოდექსის ძალით გამყიდველს ეკისრება ვალდებულება გადასცეს მყიდველს ნივთი, რომელიც აკმაყოფიელბს სამოქალაქო კოდექსის 487-489-ე მუხლებს, კერძოდ უნაკლო და შეთანხმებულ მდგომარეობაში.

შესაბამისად, აღნიშნულის შეუსრულებლობა მყიდველისათვის შესრულების მოთხოვნის წარმოშობს საფუძველა.[39] სსკ-ს 186-ე მიხედვით, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა ხდება ნამდვილი უფლების საფუძველზე შემძენისთვის ნივთის გადაცემის გზით. გადაცემა უნდა განხორციელდეს ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით, ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობის მინიჭებით.[40] არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემა დაშვებულია, თუკი მხარეები ამაზე შეთანხმდნენ.[41] თუმცა ამ შემთხვევაში, გამყიდველს აქვს ვალდებულება არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემის დროს, უზრუნველყოს ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა მყიდველისათვის.[42]

საკუთრების გადაცემა სხვადასხვაგვარია მოძრავ და უძრავ ნივთებზე. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მოძრავ ნივთზე გადაცემის დროს საკუთრება უნდა გადავიდეს ნამდვილი უფლების საფუძველზე. არ შეიძლება საკუთრების გადაცემად ჩაითვალოს, არაუფლებამოსილი პირის მიერ, რომელსაც არ აქვს ნივთის განკარგვის უფლება, ნივთის გადაცემა. ამ წესიდან გამონაკლისია სსკ-ს 187-ე მუხლი, რომელიც ნივთის შემძენის კეთილსინიდისიერებას ეხება.[43]

მოძრავი ნივთების საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული წესიდან გამონაკლისია ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების გადაცემა.[44] საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონის 91-ე მუხლის თანახმად, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების წარმოშობა „იურიდიულ ძალას იძენს სსიპ-ში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში - რეგისტრაციის მომენტიდან."[45] აქედან გამომდინარე, გარდა მოძრავ და უძრავ ნივთებად დაყოფისა, საკუთრების უფლების გადაცემასთან

---

[38] BGH NJW 1962, 1812, 1813.

[39] Sacco, Formation of Contracts, in: Hartkamp/Hesselink/Hondius/Joustra/Perron, Towards a European Civil Code, 2nd edition, 1998, p. 197.

[40] Beckmann,in StaudingerBGB, Buch 2, 14. Aufl., 2004, § 433, Rn. 106.

[41] MüKo/Westermann,BGB, 6. Aufl., 2012, § 433,Rn. 48.

[42] Beckmann,in StaudingerBGB, Buch 2, 14. Aufl., 2004, § 433, Rn. 109; Faust, in Beck OK BGB, § 433, Rn. 34; გადაცემის ვალდებულება შესაძლებელია შესრულდეს ასევე ნივთთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მყიდველისათვის გადაცემის გზით.

[43] ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,gccc.ge , 06.04.2016, 477-ე მუხლი, ველი 8;

[44] ზოიძე ს., სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 69, გვ. 214.

[45] 04/04/1995 წლის საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონი, საქართველოს 2009 წლის 17 ივლისის კანონი No1544-სსმI, No21,03.08.2009 ცვლილება; შდრ. ასევე მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის ბრძანება N 150, 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-11მუხლის მე-5პუნქტი.

დაკავშირებით სამართლებრივად უმჯობესი იქნება თუკი ნივთებს რეგისტრირებად და არარეგისტრირებად ნივთებთად დავყოფთ.[46]

რაც შეეხება, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემას, სსკ-ს 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემად აუცილებელია გარიგების წერილობითი სახით გაფორმება და რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ასევე, საკუთრების გადაცემის ობიექტი შესაძლოა იყოს უფლება.[47] სსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ,,მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს შემძენი.“

1.3. ვალებულების შესრულების მოთხოვნა

სსკ-ს 427-ე მუხლის თანახმად ,,ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით“. შესრულების ცნების ჩამოყალიბება, რთულია ვალდებულების სხვადასხვა ხასიათიდან გამომდინარე.[48] რომის სამართლის მიხედვით, ვალდებულების შესრულება მოვალის მიერ კრედიტორისთვის მოსალოდნელი, შეთანხმდებისამებრი ქმედებების განხორციელებაა.[49] თუკი, მოვალე ასრულებს კრედიტორის სასარგებლოდ ისეთ მოქმედებებს, რომელიც გამომდინარეობს მათ მიერ დადებული ხელშეკრულებიდან, ნიშნავს, რომ ვალდებულება შესრულდა და შესაბამისად, ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა.[50] შესაბამისად, ყოველი ვალდებულება გულისხმობს შესრულებას.[51]

---

[46] Flume, Allgemeiner Teil II, 279; BGHZ 48, 396; BGHZ 23, 249.
[47] ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge , 06.04.2016, 477-ე მუხლი, ველი 12.
[48] Palandt, BGB, &362.
[49] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, 2004 წ. თბილისი, გვ.312.
[50] Markesinis/Lorenz/Dannemann, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution : A Comparative Introduction, 1997.
[51] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, 2004წ. თბილისი, გვ.315.

თავი 2. მყიდველის მეორადი მოთხოვნის წარმოშობის საფუძვლები

,,Pacta sunt servanda" (ლათ.) - სახელშეკრულებო სამართლის ფუძემდებლური პრინციპია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.[52] აღნიშნული დათქმის შეუსრულებლობა, უკვე ხელშეკრულების დარღვევაა. იმისათვის, რომ დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელია სახეზე იყოს ხელშეკრულების დარღვევა და მისი შემადგენლობა. შემადგენლობა, ეს არის სამართლებრივად მნიშვნელოვან ობიექტური და სუბიექტური გარემოებათა კომბინაცია, რომელთა არსებობა ადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს დამრღვევი მხარის მიმართ.[53] მეორადი მოთხოვნის უფლებები წარმოიშობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მხარეები არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად და არღვევენ ხელშეკრულებით დაკისრებულ პირველად ვალდებულებებს.[54]

2.1 ვალდებულების დარღვევის არსი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი ვალდებულების დარღვევა იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლებების წარმოშობას. სამოქალქო კოდექსში, ტერმინი „დარღვევა'' გამოიყენება იმ შემთვევაში, როცა ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.[55] ვენის კონვენციის თანახმად, დარღვევა გულისხმობს ნებისმიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, რომელიც დგინდება ხელშეკრულებით, მხარეთა ურთიერთობით პრაქტიკიდან გამომდინარე ან სავაჭრო წეს-ჩვეულებით.[56] ევროპისა და უნიდროა პრინიცპების მიხედვით, კი დარღვევა აღინიშნება ტერმინით ,,შეუსრულებლობა". ინგლისსა და ამერიკაში ვალდებულების დარღვევა პირდაპირპროპორციულად გულისხმობს დამღვევის პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურების კუთხით.[57] ხოლო, ვენის კონვენცია პირდაპირ მიუთითებს, რომ ვალდებულების დარღვევის დროს დაზარალებულ მხარეს ენიჭება უფლება დაცვის რამოდენიმე საშუალებიდან აირჩიოს ერთ-ერთი: ზიანის ანაზღაურება, რეალური

---

[52] ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge , 06.04.2016, 477-ე მუხლი, გვ.13.

[53] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბილისი, 2001წ. გვ 363-364;

[54]ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების ხელშეკრულებიდან გასვლისა დაფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეც. გამოცემა; თბილისი 2008; გვ.160.

[55] MüKo/*Gottwald*, BGB, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 6.

[56] Unites Nations Convention on contracts for the International Sale of Goods (CISG)- 1980.

[57] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, 2004წ. თბილისი, გვ.330.

შესრულების მოთხოვნის უფლება, ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება და ხელშეკრულებიდან გავსლის მოთხოვნის უფლება. იგივე შეიძლება ითქვას ევროპისა და უნიდროა პრინციპებთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად, ევროპის სახელშეკრულებო პრინციპებში, ხელშეკრულების დარღვევა აღინიშნება ტერმინით ,,ხელშეკრულების შეუსრულებლობა" და იგულისხმება, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.[58] ხელშეკრულების შეუსრულებლობა შეიძლება განხორციელდეს დეფექტური შესრულებით, საქონლის მიწოდება, რომელზედაც პრეტენზია გააჩნია მესამე მხარეს, ვადის გადაცილებით შესრულება ან ვადაზე ადრე შესრულება, გვიან ან არასდროს, აღნიშნული მოიცავს ასევე აქცესორული მოვალეობების დარღვევას, მაგალითად ვალდებულების დაკისრება პარტნიორის სავაჭრო საიდუმლოების გაუმჟღავნებლობის შესახებ.[59]

ხელშეკრულების დადებით, მხარეებს ეკისრებათ ვალდებულებები, კერძოდ, ვენის კონვენციის 30-ე მუხლის მიხედვით ,,გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს საქონელი, გადასცეს შესაბამისი დოკუმენტები და ასევე საქონლეზე საკუთრების უფლება ხელშეკრულებისა და კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად." ამავე კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად კი, მყიდველს ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს შესაბამისი საზღაური და მიიღოს საქონელი ხელშეკრულების და კონვენციის შესაბამისად. ვინაიდან, ნაშრომის განხილვის საკითხია მყიდველის მეორადი მოთხოვნის უფლებები, - შესაბამისად, განვიხილავთ გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის თემებს.

ვალდებულებების დარღვევისას, დაზარალებული მხარის სამართლებრივი დაცვის საშუალებები სხვადასხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ სისტემებში შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს სამ კატეგორიად: ა) დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს შეუსრულებელი ვალდებულებების ნაცვლად გარკვეული თანხა, მათ შორის ზარალის ანაზღაურება, რომელიც განიცადა ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო ბ) დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს რეალური შესრულება, რაც მას აძლევს საშუალებას მიიღოს ის, რისი უფლებაც ჰქონდა ხელშეკრულების საფუძველზე; გ) უფლება აქვს „ბოლო მოუღოს" სახელშეკრულებო ურთიერთობას, - გავიდეს ხელშეკრულებიდან.[60] აღნიშნული კატეგორიები არ გამორიცხავენ ერთმანეთს. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლასთან ერთად გამოიყენება

[58] ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge , 06.04.2016, 477-ე მუხლი, ველი 14.

[59] Lando O.Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace International Law Review, Vol. 13, Issue 2, 2001, გვ 360-362.

[60] Lando/Beale (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), prepared by the Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, p. 167.

ზიანის ანაზღაურების უფლებაც, ასევე რეალური შესრულების მოთხოვნასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფასის შემცირების მოთხოვნაც.[61]

2.2 ვალდებულების დარღვევის შემადგენლობა

ვალდებულები დარღვევის ერთ-ერთი ელემენტია მოქმედებით ან უმოქმედობით განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება.[62] არამართლზომიერია ქმედება, თუკი ის არღვევს სამართლებრივ დანაწესებს. აღნიშნული ქმედება ობიექტური შემადგენლობის ნაწილია და არ არის დამოკიდებული სუბიექტურ კრიტერიუმებზე, აცნობიერებდა თუ არა დამრღვევი თავისი ქმედების სამართლებრივ მნიშვნელობას. არამართლზომიერება გულისხმობს, როგორც აქტიური მოქმედებით განხორციელებულ შეუსრულებლობას, ასევე უმოქმედობით ვალდებულებების დარღვევას.[63]

ვალდებულების დარღვევის ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია ზიანის არსებობა. ქონებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი სახეზე არ იქნება ზიანი.[64] ვენის კონვენცია, ისევე როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, განმარტავს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მნიშვნელოვანი ზიანი.[65] აქ დგება უმნიშვნელო ზიანის ანაზღაურების საკითხი, რომელზეც კონვენცია მიუთითებს, რომ ზოგადი წესების თანახმად ასეთი ზიანი არ ანაზღაურდება, რადგანაც ითვლება, რომ მისი რისკის მატარებელნი არიან სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები.[66]

მესამე მნიშვნელოვანი ელემენტია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ შედეგეს (ზიანს) შორის, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, აანაზღაურებას ექვემდებარება ისეთი ზიანი, რომელიც დგება ზიანის გამომწვევ ქმედების მიერ.[67]

რაც შეეხება სუბიექტურ ელემენტს, ხელშეკრულების დარღვევის შემადგენელი ნაწილია ბრალი.[68] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცნობს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას. ვენის კონვენციის მიხედვით, იმისათვის რომ მხარემ გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალება სულაც არაა საჭირო დადგეს ბრალის არსებობის

---

[61] Koskinen, jussi; "CISC, specific Perormance and Finish law"; Finland, turku,; 1999.

[62] ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მის შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014წ. 20 გვ.

[63] ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001წ. გვ 364-365.

[64] MüKo/*Gottwald*, BGB, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 6.

[65] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, მუხლი 33-ე. 1980წ.

[66] Lando/Beale (eds.), Principles of European Contract Law, Parts I and II (Combined and Revised), prepared by the Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, p. 170

[67] ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებიღი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001წ. გვ 364-370.

[68] *Schellhammer*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 9. Auflage, S. 796

საკითხი. ეს უფლება მას ენიჭება თვით დარღვევის შემთხვევაში. თუმცა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის აუცილებელია ბრალის არსებობა. [69]

2.2 ვალდებულების დარღვევის სახეები

2.3.1 ნივთობრივი ნაკლის მქონე საქონლის მიწოდება

ნივთობრივი ნაკლის მქონე საქონლის მიწოდება მყიდველის უფლებების უხეში დარღვევაა და არაჯეროვანი შესრულების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ნივთობრივად უნაკლო საქონლის დეფინიციას. სსკ-ს 488-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნივთი ნაკლიანია, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხარისხს. თუკი მისი ხარისხი განსაზღვრული არ არის, მაშინ ნაკლიანად ითვლება მოხმარებისთვის უვარგისი ნივთი.

სსკ-ის 488-ე მუხლის საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა. ხოლო, უნიფიცირებული აქტები საკმაოდ დეტალურად განიხილავენ ნივთობრივ ნაკლთან დაკავშირებულ საკითხებს და აკონკრეტებენ ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთის ყველა შესაძლო ვარიანტს. მაგალითად, ვენის კონვენციის 35-ე მუხლი განსაზღვრავს, მყიდველისთვის გადასაცემი ნივთი არის თუ არა ხელშეკულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი.[70] ყურადღება მახვილდება საქონლის რაოდენობაზე, ხარისხსა და შეფუთვაზე.[71] აღნიშნული კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს შესაბამისი რაოდენობის და ხარისხის საქონელი, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ აღწერილობასთან და დაცულ იყოს შეფუთვის პირობები.[72] ამ ნორმასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გამყიდველმა მიაწოდა მყიდველს ჟალუზების დასამზადებლად საჭირო მასალა სინო პლასტიკა, რომელიც შეიცავდა კონკრეტულ ნივთიერებას დაბალი პროცენტულობით, ვიდრე ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. მყიდველმა მასალით დაამზადა ჟალუზები, რომელიც კონკრეტული ნივთიერების ნაკლებობის გამო მზის სხივებს სათანადოდ ვერ

---

[69] UNCITRAL,Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; p. 346.

[70]Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments http://www.unilex.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=109294,%20Art%202.1.6%20(1).,%20Principles,%20Definitions%20and%20Model%20Rules%20of%20European%20Private%20Law.%20Draft%20Common%20Frame%20of%20Reference%20(DFRC).,%20prepared%20by%20Study%20Group%20on%20a%20European%20Civil%20Code%20and%20the%20Research%20Group%20on%20the%20Existing%20EC%20Private%20Law%20(Acquis%20Group).,%20Christian%20von%20Bar/Eric%20Clive/Hans%20Schulte-Nolke%20and%20Hugh%20Beale/Johnny%20Herre/J%C3%A9r%C3%B4me%20Huet/%20Peter%20Schlechtriem/Matthias%20Storme/Stephen/Swann/Paul%20Varul/Anna%20Veneziano%20/Fryderyk%20Zoll%20(eds).,%204:204%20(2). (ნანახია 17.05.2019).

[71] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, მუხლი 35; 1980 წ.

[72] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, მუხლი 35, 1980 წ.

იჭერდა. შედეგად მყიდველმა მიიღო არასათანადო ნივთი. აქედან გამომდინარე, საქონლის მიწოდება არ მოდიოდა ხელშეკრულებასთან თანხვედრაში, რაც ჩაითვალა გამყიდველის მიერ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევად.[73] ხოლო, მეორე მხრივ, ერთ-ერთ საქმეზე, გამყიდველმა მყიდველს მიაწოდა მიდიები (ზღვის პროდუქტი), რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით უსარგებლო ნივთიერებას - კადიუმს. ვინაიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული არ იყო კადიუმის ზღვრული დონე, გამყიდველს ვენის კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილით პასუხისმგებლობა არ დაეკისრა.[74] მოცემული ქეისი განიხილა ზემდგომმა სასამართლომ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები იმპორტიორი ქვეყნის სამართლებრივი მდგომარეობა, გამყიდველი პასუხს აგებს მაშინ, თუკი მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ.[75] ეს ფაქტორი შესაძლოა დასტურდებოდეს სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, მაგალითად თუკი გამყიდველს ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობა აღნიშნულ ქვეყანაში, ხშირად ეწეოდა ექსპორტს ამ ქვეყანაში და ა.შ.[76]

ვენის კონვენცია 35-ე მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს ისეთ შემთხვევას, რომლის დროსაც საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას , თუმცა ხელშეკრულებაში საქონლის ხარისხთან და შეფუთვასთან დაკავშირებით დათქმა შესაძლებელია არ იყოს.[77] ეს ნორმა იცავს მყიდველის ინტერეებს და ავალდებულებს გამყიდველს დაიცვას კეთილსინდისიერების პრინციპი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელშეკრულებით არ არის განსზღვული.[78] აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ-ერთი საარბიტრაჟო სასამართლოს განმარტებით, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია საქონლის ზოგადი ხარიხსი, ეს არ გამორიცხავს ვენის კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედებას. მაგალითად, თუ ხელშეკრულება შეეხება საქონლის მხოლოდ დადებით თვისებას და მასში განსაზრვული არ არის მისი უარყოფითი თვისების შესახებ, ეს არ ათავისუფლებს გამყიდველს ვალდებულებისგან.[79]

ვენის კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას თუ:

---

[73] Germany, 25 june, 1996, Court Paderborn (Granulated plastic case). http://cisgw3.law.pace.edu/cases/960625g1.html (ნანახია 19.05.2019).

[74] Germany, 20 April, 1994, Court Frankfurt (New Zeland mussels); https://cisgw3.law.pace.edu/cases/940420g1.html (ნანახია 19.052019).

[75] Canaris/Grigoleit, Interpretations of Contracts, in: Towards a European Civil Code, 3rd ed., 2004, p. 445-470.

[76] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 384.

[77] Savigny, System des heutigen Römischen Rechts, Band 3, 1840, S. 258., იხ. ჭანტურია ლ., სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 337, გვ. 155.

[78] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on the International Sale of Goods; article 35; გვ 104 https://www.uncitral.org/pdf/english/clout/digest2008/article035.pdf (ნანახია 19.05.2019).

[79] Stockolm Chamber of Commerce Arbitration Award of 5 June 1998 (Beijing Linght Automobile Co v. Connel) ; https://cisgw3.law.pace.edu/cases/980605s5.html (ნანახია 19.05.2019)

ა) იგი გამოუსადეგარია იმ მიზნებისთვის, რა მიზნებისთვისაც გამოიყენება იმავე სახის საქონელი;

ბ) საქონელი გამოუსადეგარია ნებისმიერი მიზნისთვის, რომლის შესახებაც, გამყიდველს პირდაპირ ან არაპირდაპირ აცნობეს ხელშეკრულების დადების დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მყიდველი არ ეყრდნობა ან მისთვის არაგონივრული იყო დაყრდნობოდა გამყიდველის კომპეტენტურობას;

გ) საქონელს არგააჩნია ის ნიშან-თვისებები, რომელიც გამყიველმა შესთავაზა მყიდველს;

დ) თუკი, საქონელის არ არის შფუთული წესების დაცვით;

ზემოაღნიშნული კონვენციის ,,ა" და ,,დ" პუნქტები, გამოიყენება ყველა შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხოლო ,,ბ" და ,,გ" მოქმედებს მაშინ, თუ არსებობს წინაპირობები.[80] მოცემული მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამავე მუხლის პირობები უნდა დგებოდეს კუმულატიუარდ რაც ნიშნავს, იმას, რომ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას, თუ ის არ შეესაბამება კონვენციის 35 (2)-ს ოთხივე პუნქტს.[81]

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები. ვენის კონვენციის 35 (2)-ის ,,ა" პუნქტი ჩაითვლება დარღვეულად თუ გამყიდველმა მყიდველს მიაწოდა ღვინო, რომელშიც წყლის შემცველობა იყო 9%, რის შედეგადაც მყიდველს ჩამოერთვა ეს საქონელი და განადგურდა მთავრობის მიერ, - აღნიშნული პუნქტის მიხედვით, საქონელი უნდა იყოს ვარგისი იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც ისინი ჩვეულებრივ გამოყენებადია.[82] ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საქონელი უნდა იყოს სრულყოფილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქონლის სრულყოფილება აუცილებელია ზოგადი მიზნებისათვის. სადავოა ჩვეულებრივ, საქონელი უნდა იყოს საშუალო ხარისხის, თუ იყოს „რეალიზებადი" ხარისხის. ვინაიდან ვენის კონვენცია არეგულირებს საერთაშორისო ნასყიდობის ურთიერთობებს, აუცილებელია მიზნის განსასაზღვრად შეფასებულ იქნეს მყიდველის ქვეყნის სამართლებრივი მდგომარეობა. (მაგ. ზემოთაღნიშნული მიდიების საკითხი)[83]

მაგალითად, ერთ-ერთი სასამართლოს განცხადებით, ყველის გამყიდველი ვალდებული იყო სცოდნოდა მყიდევლის ქვეყნის ბაზარზე არსებული ნორმების

---

[80] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on the International Sale of Goods; article 35, p 105. https://www.uncitral.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 19.05.2019).

[81] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on the International Sale of Goods; article 35, გვ 105 https://www.uncitral.org/pdf/english/clout/digest2008/article035.pdf (ნანახია 19.05.2019)

[82] იხ. Principles of International Commercial Contracts, Chapter 4:Interpretation; Principles of European Contract Law, Chapter 5 – Interpretation; Draft Common Frame of Reference, Chapter 8 – Interpretation.

[83] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on the International Sale of Goods; article 35, გვ 10 5https://www.uncitral.org/pdf/english/clout/digest2008/article035.pdf; (ნანახია 19.05.2019).

შესახებ, რადგან მრავალთვიანი ურთიერთობა ჰქონდა მასთან და უნდა სცოდნოდა მყიდველის ბაზრის მოთხოვნების და ქვეყნის სავაჭრო ნორმები. [84]

რაც შეეხება, ვენის კონვენციის 35 (2)-ის ,,ბ"- პუნქტის დათქმას, ერთ-ერთმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩვეულებრივი მყიდველი გონივრულად ვერ დაეყრდნობა გამყიდველის ცოდნას იმპორტიორი ქვეყნის სამართლებრივი ნორმების შესახებ, თუ ამის შესახებ არ აცნობა თავად მყიდველმა. აქედან გამომდინარე მიდიების საქმეზე სასამართლომ დაასკვნა, რომ მართალია მასში არსებული კადმიუმის მაღალი მაჩვენებელი ეწინააღმდეგება გერმანელი მედიკოსების რეკომენდაციას, თუმცა არ არღვევს ვენის კონვენციის 35 (2) ,,ბ" პუნქტს.[85]

ვენის კონვენციის 35 (2) მუხლის ,,გ" პუნქტის თანახმად, იმისათვის რომ საქონელი ჩაითვალოს ხელშეკრულების შესაბამისად, აუცილებელია რომ ჰქონდეს ის თვისებები, რომელიც გააჩნდა იმ საქონელს, რომელიც ნიმუშის სახით შესთავაზა გამყიდველმა მყიდველს. ამის შესახებ ერთ-ერთმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ნაჩვენებ მოდელს, თუკი ხელშეკრულება ამას ითვალსიწინებს.[86]

ვენის კონვენციის 35 (2) „დ" პუნქტი ეხება საქონლის შეფუთვას და აღნიშნავს, რომ საქონელი მიიჩნევა შეუსაბამოდ, თუ არ არის შეფუთული ისე, როგორც ეს არის ხელშეკრულებაში მითითებული.[87] მაგალითად, გამყიდველი პასუხისმგებელია 35(2) „დ" პუნქტის დაუცველობისთვის, თუ მისაწოდებელი საქონელი, მაგალითად ხილი, დაკონსერვებული იყო ისეთ კონტეინერში, რომელიც არ იყო მიზანშეწონილი გადაზიდვისათვის.[88]

მიუხედავად იმისა, რომ 35(2) მუხლის შესაბამისად, შესაძლოა სახეზე იყო საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა, გამყიდველს პასუხისმგებლობა არ დაეკსირება, თუ სახეზე არ დადგა 35-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოება.[89] კერძოდ, გამყიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ მყიდველმა იცოდა ან არ შეეძლო არ ცოდნოდა ხელშეკრულების დადების მომენტში,

---

[84] France, 13 September, 1995; Applellate Court; Grenoble (Cheese case) (Couto Rojer v. Societe Frncouse de factoring) http://cisgw3.law.pace.edu/cases/950913f1.html; (ნანახია 19.05.2019).

[85]Germany;20April,1994;Court Frankfurt (New Zeland mussels); https://cisgw3.law.pace.edu/cases/940420g1.html(ნანახია 19.05.2019).

[86]Germany; 20 April, 1994; Court Frankfurt (New Zeland mussels); https://cisgw3.law.pace.edu/cases/940420g1.html(ნანახია 19.05.2019).

[87] Graffi, Remarks on Trade Usages and Business Practices in International Sales Law, Journal of Law and Commerce, Vol. 29:273, 2011, p. 275

[88]Mexico, 29 April; 1996;Compromex arbitration proceeding [Conservas La Costen v. Lanin; http://cisgw3.law.pace.edu/cases/960429m1.html; (ნანახია 19.05.2019).

[89]Principles of European Contract Law 2002, art. 5:105 https://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/ (ნანახია 20.05.2019)

რომ მას უხარისხო საქონელს აწოდებდა.[90] მაგალითად, თუ გამყიდველმა იცის, რომ ავტომობილს ტექ. დათვალიერება ჩატარებული ჰქონდა 2 წლით ადრე, ვიდრე დაფიქსირებულია დოკუმენტში და ასევე ოდომეტრი არ აჩვენებდა რეალურ გარბენს და ეს დაუმალა მყიდველს, იგი პასუხისმგებელია მიუხედავად იმისა, რომ მყიდველსაც თავის მხრივ უნდა სცოდნოდა ამ გარემოებების შესახებ, რადგან დიდი ხანია ამ სფეროში მოღვაწეობს (მაგალითად, ეწევა მანქანების ყიდვა-გაყიდვას).[91] კერძოდ ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ვენის კონვენციის მე-40 (გამყიდველმა იცოდა და არ აცნობა მყიდველს) და მე-7 (1) (კეთილსინდისიერების პრინციპი) მუხლები განამტკიცებს ზოგად პრინციპს და ძალიან დაუდევარ მყიდველსაც კი იცავს მატყუარა გამყიდველისგან.[92]

2.3.2 მტკიცების ტვირთი ნივთობრივი ნაკლის მქონდე საქონლის მიწოდებისას

ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი - მყიდევლს თუ გამყიდველს? ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივ პრაქტიკაში აზრები ორად იყოფა, ნაწილი სასამართლო მიიჩნევს, რომ მტკიცების ტვირთი გამყიდველს აქვს დაკისრებული, ნაწილი კი მყიდველს აკისრებს იმის მტკიცებს, რომ საქონელი არ შეესაბამება ვენის კონვენციის 35-ე მუხლს.[93] ერთ-ერთმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გამყიდველია ვალდებული ამტკიცოს ის, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებას. [94] ერთ-ერთი არბიტრაჟის განარტებით, რადგან კონვენციით არ რეგულირდება ცალსახად ვის აკისრია მტკიცების ტვირთი, აღნიშნული აწევს მას, ვინც დაზარალებულია - ანუ მყიდველს.[95]

ანალოგიურად განმარტა იტალიის სასამართლომ და აღნიშნა, რომ მართალია კონვენცია ცალსახად არ არეგულირებს აღნიშნულ საკითხს, თუმცა აწესებს ზოგად პრინციპს, რომლის თანახმადაც , მხარე, რომელიც უკმაყოფილოა შედეგით და აღნიშნავს

---

[90] SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 25; KAPPUS, NJW 1994, 984 (984); OLG Frankfurt, NJW 1994, 1013 (1014).

[91] სავაჭრო ჩვეულების ცნების თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ. Lando/Beale, PECL, 2000, p. 104; Honnold, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 2nd ed., Kluwer Law International, 1991, p. 146; Bonell, in: Bianca/Bonell (eds.), Commentary on the International Sales Law the 1980 Vienna Sales Convention, p. 106; Junge, in: Peter Schlechtriem ed., Commentary on UN Convention on the International Sale of Goods (CISG), 2nd edition (translated), p. 78.

[92] Germany, 21 May, 1996; Appellate Court Koln [Used car case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/960521g1.html (ნანახია 20.05.2019).

[93] Honnold, Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 2nd ed., Kluwer Law International, 1991, p. 146.

[94]Belgium, 6 October, 1997; District Court Kortrijk [Wonderfil v. Depreaeter Industries] http://cisgw3.law.pace.edu/cases/971006b1.html ; (ნანახია 20.05.2019).

[95] ICC, Arbitration Case of 26 March, 1993; N6653 [steel bars case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/936653i1.html, (ნანახია 20.05.2019).

ხელშეკრულების დარღვევას ნივთობრივად ნაკლიანი საქონლის გადაცემის გამო, სწორედ მან უნდა ამტკიცოს ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა.[96] ზოგიერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში იკითხება, რომ ასეთი საკითხი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს. მაგალითად, მყიდველს ეკისრება მტკიცების ტვირთი შეუსაბამობაზე, თუკი მან დაუყოვნებლივ არ გააკეთა განცხადება აღნიშნულან დაკავშირებით.[97] ანალოგიურად, გამყიდევლს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ საქონელი გადაცემის მომენტში იყო უნაკლო, ხოლო მას შემდეგ რაც ყველა რისკი გადადის მყიდველზე, მტკიცების ტვირთიც გადადის მასზე, თუ დაუყოვნებლობ არ გააკეთა შეტყობინება შეუსაბამობის შესახებ.[98]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი მტკიცების ტვირთი, რომ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას, ეკისრება მყიდველს.

2.3.3 ნივთობრივი ნაკლის მქონე საქონლის ხელშეკრულებასთან შეუსაბამობისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი მოთხოვნები.

იმისათვის, რომ მყიდველმა გამოიყენოს მეორადი მოთხოვნის უფლება, სამივე უნიფიცირებული აქტი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი თხოვს, რომ სახეზე იყოს დამატებითი საფუძვები

I. ვადები

ვენის კონვენციის 36-ე მუხლი აწესებს ვადებს, რომლიც განმავლობაშიც უნდა დადგინდეს ხელშეკრულებასთან შეუსაბამობის ფაქტი, იმისათვის რომ დადგინდეს გამყიდველის პასუხისმგებლობა.[99] პირველი ნაწილის მიხედვით, მას შემდეგ რაც ხდება საქონლის მიწოდება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის, ყველა რისკი და ვალდებულება გადადის მყიდველზე.[100] მეორე ნაწილი აფართოვებს გამყიდველის პასუხისმგებლობის არეალს. პასუხისმგებლობა ეკისრება გამყიდველს მაშინაც, თუკი საქონელი გადაცემულია მყიდველისთვის, მაგრამ შეუსაბამობა გამოწვეულია გამყიდველის მიერ რომელიმე ვალდებულების დარღვევით: ნივთის

---

[96] Italy, 12 July, 2000; District court Vigevano [Rheinland Versicherungen v. Atlare; http://cisgw3.law.pace.edu/cases/000712i3.html;(ნანახია 20.05.2019).
[97] Germany, 25 August, 1994; District Court Dusseldorf; [fashion goods case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/940825g1.html (ნანახია 21.05.2019).
[98] Switzerland, 30 November, 1998; Commercial court Zurich; [Lambskin coat case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/981130s1.html (ნანახია 21.05.2019).
[99] Principles of European Contract Law 2002, art. 5:105 https://www.jus.uio.no/lm/eu.contract.principles.parts.1.to.3.2002/(ნანახია 21.05.2019).
[100] *Graffi,* Remarks on Trade Usages and Business Practices in International Sales Law, Journal of Law and Commerce, Vol. 29:273, 2011, p. 275.

ფუნქციონირებისთვის მიცემული გარანტიის დარღვევა ან ნივთის ხარისხთან დაკავშირებული გარემოება.[101] მაგალითად, ყვავილების მაღაზია, რომელიც ყიდის იასამნებს, უარი თქვა გამყიდველისთვის გადაეხადა საფასური, იმ მოტივით, რომ როგორც შეთანხმდნენ, ყვავილები არ ხარობდა მთელი წლის განმავლობაში.[102] სასამართლომ განმარტა, რომ გამყიდველს ჰქონდა მოთხოვნის უფლება, იმიტომ რომ არ იკვეთებოდა ვენის კონვენციის 36-ე მუხლთან შეუსაბამობა. ყვავილები უხარიხსო არ იყო ნივთის მყიდველისთვის გადასვლის მომენტში და ასევე, მყიდველმა ვერ დაამტკიცა, რომ გამყიდველმა გარანტია მისცა იმისა, რომ ყვავილები მთელი წლის განმავლობაში იხარებდნენ.[103] აღნიშნულს ეხება სამოქალაქო კოდექსის 482-ე (ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკის გადსვლა) და სსკ-ს 496-ე მუხლი (ნივთის ვარგისიანობის ვადა - გარანტია)

II. საქონლის შემოწმება

ვენის კონვენცია და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, შეიცვას დანაწერებს, რომელთა დაცვა აუცილებელია, რათა მყიდევლმა შეინარჩუნოს პრეტენზიის უფლება გამყიდველის მიმართ. ერთ-ერთი ასეთი დანაწესია (ვენის კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და სსკ-ს 4495-ე მულის 1-ლი ნაწილი), მყიდველმა შეამოწმოს მიღებული საქონელი გონივრულ ვადაში. თუ მყიდველმა მიიღო ნივთი ექსპერტიზისა და შემოწმების გარეშე, იმ მოტივით, რომ ენდობოდა გამყიდევლს, ასეთ შემთხვევასი სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ვენის კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მყიდველის მიერ.[104] გონივრული ვადა, ეს არის ის მოკლე ვადა, რომელშიც ნივთის შემოწმება პრაქტიკულად შესაძლებელია. თუკი გამყიდველი არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, მან შესაძლოა დაკარგოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები.[105]

III. მყიდველის მიერ გამყიდველისთვის შეტყობინება

ასევე, მნიშვნელოვანი გარემოება არის ის, რომ მყიდველმა დროულად უნდა შეატყობინოს გამყიდველს ნივთის ნაკლის შესახებ.[106] სსკ-ს 495-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ამ ვადას მოიხსენიებს ტერმინით ,,შესაბამისი ვადა" ხოლო ვენის კონვენცია აღნიშნავს,

---

[101] MüKo/Schmidt, HGB, 2. Auflage 2009, § 346, Rn. 13.

[102] *Honnold,* Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 2nd ed., Kluwer Law International, 1991, p. 146.

[103] Austria, 1 July 1994; Appellate court Innsbruck; [Garden flawers case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/940701a3.html (ნანახია 23.05.2019)

[104] Austia, 27 November, 1999, Suppreme court; [Trekking shoes case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/990827a3.html, (ნანახია 23.05.2019)

[105] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 160; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf, (ნანახია 23.05.2019)

[106] *Schmidt,* Rn. 29.

როგორც ,,გონივრული ვადა".[107] ორივე შემთხვევაში, მიზანი ერთი და იგივეა, თუმცა ვფიქრობ ,,გონივრული ვადა" უფრო ნაკლებად იძლევა მყიდველის მხრიდან მანიპულაციის საშუალებას. ასევე, განსხვავებით ვენის კონვენციისგან, სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლი მყიდველს ჯერ დაუყოვნებილ შემოწმების ვალდებულებას აკისრებს და შემდეგ შეტყობინების გაგზავნის, თუკი ის მეწარმეა.[108] ვენის კონვენცია კი მხედველობაში არ იღებს მხარეთა სამეწარმეო ხასიათს. [109] იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი გონივრულ ვადაში წარუდგენს შეტყობინებას საქონლის შეუსაბამობის შესახებ, აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, მყიდველმა დროულად შეამოწმა თუ არა საქონელი.[110] ვენის კონვენციის 39-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს ასევე ხანდახმულობის ვადას, და განმარტავს რომ მყიდველი დაკარგავს მოთხოვნის უფლებას გამყიდველის მიმართ, თუკი მოთხოვნა არ წარედგინება გამყიდველს ნივთის გადაცემიდან არაუგვიანეს 2 წლისა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საგარანტიო ვადას.[111] სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ განსაზღვრავს შეტყობინების ვადას, თუმცა შეიცავს ზოგად ნორმას - კერძოდ, 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით სახელშეკრულებო მოთხოვნის ზოგადი ხანდაზმულობის ვადა 3 წელია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პრიობების დაუცველობა, მყიდველს აკარგვინებს მეორად მოთხოვნების გამოყენების უფლებას, გარდა ზინაის ანაზღაურების და ფასის შემცირებისა, თუ შეტყობინების გაგადაცემა გამყიდველისთვის ვერ მოხერხდა გონივრულ ვადაში. გონივრული ვადის დადგენა კი სასამართლოს პრეროგატივაა. ასეთ დროს, მტიცების ტვირთი მყდველს ეკისრება.[112]

IV. შეტყობინების ფორმა

მნიშვნელოვანია, თუ რა ფორმით უნდა იქნას შეტყობინება გაგზავნილი. შესაძლებელია აღნიშნულს არეგულირებდეს ხელშეკრულება. თუკი ხელშეკრულება არ არეგულირებს, იმპერატიული მოთხოვნა ფორმასთან დაკავშირებით, არსად არაა აღნიშნული. თუმცა პრაქტიკაში, შეტყობინება იგზავნება წერილობითი ფორმით (ფაქსით, ელექტრონული ფოსტით).[113] ევროპის სახელშეკრულებო პრინციპებიც ანალოგიურად აღნიშნავს ფორმის შეუზღუდაობის შესახებ.[114]

---

[107] Baumbach/Hopt, HGB, 35. Aufl., 2012, § 346, Rn. 8.

[108] სსკ, 1997 წ. მუხლი 495, კოდიფიცირებული.

[109] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, 1980 წ. მუხლი 1;

[110] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; p. 160; https://www.uncitral.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 25.05.2019)

[111] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდლობის შესახებ, 1980; მუხლი 44.

[112] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 219; https://www.uncitral.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 25.05.2019).

[113] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 176; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf , (ნანახია 25.05.2019)

[114] ევროპის სახელშეკრულებო პრინციპები; 1999; მუხლი 1:303;

თუ მყიდველი არ გამოიყენებს ვენის კონვენციის 38-ე და 39-ე მუხლის მოთხოვნებს, გამყიდველს არ აქვს უფლება ეს ფქტი გამოიყენოს მტკიცებულებად, თუ აღმონდა, რომ მართლაც არ შეესაბამება ნივთი ხელშეკრულებას, ისეთი პირობების გამო, რაც მისი ვალდებულების ფარგლებში შედიოდა.[115] ეს ნორმა, არის ბოლო იმედი მყიდველისთვის, თუ ვერ ან არ შეასრულებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს. ხშირ შემთხევაში, გამყიდველი ბოროტად იეყნებს მყდიველის ნდობას - ვარაუდობს, რომ ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. სწორედ, ამ მოლოდინს ზღუდავს ვენის კონვენციის 40-ე მუხლი; სასამართლოთა უმრავლესობის განმარტებით, ვენის კონვენციის 40-ე მუხლი უნდა ამოქმედდეს, თუ ადგილი ჰქონდა გამყიდველის შეგნებულ მოტყუებას, მიუხედავად მყიდველის მიერ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების განუხორციელებლობისა.[116]

2.3.4. უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის მიწოდება

არაჯეროვანი შესრულების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის გადაცემა მყიდველისთვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდევლს პრეტენზია თავისი უფლებების გამო.[117] ეს ის შემთხვევებია, თუ ნივთი დატვირთულია მესამე პირის ვალდებულებულებითი ან სანივთო უფლებებით.[118] ამ შემთხვევაში, ნივთობრივი ნაკლისგან მთავარი განმასხვავებელი თვისებაა, პასუხისმგებლობის განსაზღვრის მომენტი. ნივთობრივი ნაკლის არსებობის შემთხვევაში, ნაკლი სახეზე არის რისკის გადასვლამდე, ხოლო უფლებრივი ნაკლის დროს - საკუთრებაში გადაცემამდე.[119] მესამე პირის უფლებები, რომლებიც ნივთს უფლებრივად ნაკლულს ხდიან, შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც კერძო სამართლიდან, ასევე საჯარო სამართლიდანაც. უფლებრივი ნაკლის

---

[115] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods მუხლი 40-ე, 1980; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf, (ნანახია 25.05.2019)

[116] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 203-206; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf, (ნანახია 25.05.2019)

[117] BGH NJW 1991, 1292, 1293; NJW 2001, 2464, 2465; NJW-RR 2004, 555.

[118] ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მეოთხე; ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი პირველი; თბილისი 2001 წ. გვ 34;

[119] ჯუღელი გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ი., ჯანაშია ი., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ, 87.

განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მესამე პირის უფლებები უნდა იყოს ნამდვილი და რეალური.[120]

უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთთის მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხს, არეგულირებს ვენის კონვენციის 41-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გამყიდველმა უნდა მიაწოდოს მყიდველს ისეთი საქონელი, რომელზეც მესამე პირს პრეტენზიის უფლება არ ექნება, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი მყიდველი არის თანახმა უფლებრივად ნაკლიანი ნივთის მიწოდებაზე.[121] აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ შემთხვევას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს.

ისევე, როგორც ნივთობრივი ნაკლის მქონე ნივთის გადაცემის შემთხვევაში, მყიდველს ევალება გარკვეული პროცედურის დაცვა იმისათვის, რომ არ დაკარგოს მოთხოვნის უფლებები. ვენის კონვენციის 43-ე მუხლის თანახმად, მყიდველი კარგავს მეორადი მოთხოვნის უფლებას, თუ ის არ აცნობებს გამყიდველს მოთხოვნისა და მოთხოვნის უფლების დამახასიათებელ მონაცემებს გონივრულ ვადაში, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როცა მყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ უფლებისა თუ მოთხოვნის შესახებ.

ვენის კონვენციის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი ,ერთგვარ მხსნელად ევლინება მყიდველს, იმ შემთხვევაში თუ იგი არ აცნობებს გონივრულ ვადაში უფლებრივი ნაკლის არსებობის შესახებ გამყიდველს. კერძოდ მსგავსად ნივთობრივი ნაკლის შემთხვევისა, თუ გამყიდველმა იცოდა და შეგნებულად დაუმალა მყიდველს აღნიშნული ფაქტი, - პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდება. შესაბამისად აუცილებელია ამ დროსაც სახეზე იყოს მაღალი ხარისხის სუბიექტური გარემოება.[122]

2.3.5 საქონლის მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევა.

საქონლის მიწოდების ვადის დარღვევა, ერთ-ერთი გავრცელებული დარღვევის სახეა. სსკ-ს 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი განამტკიცებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს დათქმულს დროში. შესრულების ვადა შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით, კანონით ან ერთ-ერთი მხარის ნების

---

[120] ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეც. გამოცემა; თბილისი 2008; გვ 166-167;

[121] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, მუხლი 41-ე, 1980 წ.

[122] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 219; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf, (ნანახია 27.05.2019)

გამოვლენითაც კი.[123]აღნიშნული დარღვევის სახესთან დაკავშირულ საკითხებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან შედარებით, მეტად დეტალურად და შინაასრობლივად ერთნაირად არეგულირებს ევროპის, უნიდროას პრინციპები და ვენის კონვენცია.[124] დეტალიზების მაგალითია ის, რომ ვენის კონვენციის 33-ე მუხლი განსზღვრავს დროს, რომლიც განმავლობასიც გამყიდველმა მყიდევლს უნდა მიაწოდოს საქონელი. კონვენციის ,,ა" და ,,ბ" პუქნტების თანახმად, ვადა უნდა განისაზრვოს ხელშეკრულებით.[125] თუ ხელშეკრულება აღნიშნულ საკითხს არ არეგულირებს, მაშინ შესრულების შინაარსის შესაბამისად მოხდება განსაზღვრა.[126] სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემა ან მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში. თუ ხელშეკრულებით განსაზღვულია შესრულების ზუსტი დრო, ვალდებულება უნდა შესრულდეს ზუსტად განსაზღვულ დროს. შესაძლებელია, შესრულების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე. მაგალითად, მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს აკრედიტივის გახსნის შემდეგ. [127]

თუკი მხარეებმა განსაზღვრეს დროის მონაკვეთი, მაგალითად დეკემბრის ბოლომდე, ეს ნიშნავს, რომ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეასრულოს ვალდებულება ამ დროის ფარგლებში.[128]როდესაც კონკრეტული თარიღი არ არის განსაზღვრული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვენის კონვენციის 33-ე მუხლის მიხედვით, შესრულება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში. გონივრული ვადა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისად განისაზღვრება და გულისხმობს ადეკვატურ დროს მოცემულ პირობებში. მაგალითად, ადეკვატურ დროდ იქნა მიჩნეული გამყიდველის მიერ ტრაქტორის მიწოდება ღირებულების პირველი ტრანშის მიღებიდან 2 კვირის თავზე.[129]

ამდენად საქონლის მისაწოდებლად დადგენილი ვადების დარღვეა, წარმოადგენს მეორადი მოთხოვნის უფლებების წარმოშობის საფუძველს.

---

[123] ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბილისი 2001 წ. გვ 286;

[124] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, 1980 წ., მუხლი 33; უნიდროას პრინციპები, 2010, მუხლი 6,1,1; ევროპის სახელშეკრულებო პრინციპები, 1999, მუხლი 7:102

[125] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; p. 220; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf ;(ნანახია 27.05.2019).

[126] *Schmidt,* Rn. 25.

[127] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; p.137; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf; (ნანახია 27.05.2019).

[128] jurisPK-BGB/*Geisler*, 4. Aufl., §300, Rn. 19

[129] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; p. 137-138; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf ; (ნანახია 27.05.2019).

2.4. ვალდებულების არსებითი დარღვევა

წინა თავებში, ჩვენ განვიხილეთ ვალდებულების დარღვევის ყველაზე გავრცელებული სახეები - ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის მქონდე შესრულებები. გარდა ამისა, არსებობს სხვა დარღვევები, რომლებიც მეორადი მოთხოვრების საფუძველი შეიძლება გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სახეზე გვქონდეს ესა თუ ის დარღვევა, მეორადი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობა შესაძლოა იგი არ გახდეს, თუკი ეს დარღვევა არ არის მნიშვნელოვანი, არსებითი.[130] მაგალითად, ევროპის სახელშეკრულებო პრინიციპები 8:103 მუხლი, გაეროს კონვენციის 25-ე მუხლი და უნიდროას პრინიციპების 7.3.1 (2) მუხლის თანახმად, ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა შეიძლება იყოს არსებითი ან არაარსებითი.[131] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კი არ ყოფს ვალდებულების დარღვევას არსებითად ან არაარსებითად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.[132]

უნიფიცირებული აქტები ვალდებულების დარღვევის საკითხთან მიმართებაში განსხვავება მხოლოდ ტერმინშია.[133]მაგალითად, ვენის კონვენციაში გამოიყენება ტერმინი ,,არსებითი დარღვევა", ხოლო ევროპისა და უნიდროას პრინიციპებში - ,,არსებითი შეუსრულებლობა". რადგანაც, შინაარსობლივად უნიფიცირებულ აქტებში ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი განსხვავება არ არის, განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი.

გაეროს კონვენციის მიხედვით, რიდესაც დარღვევა არსებითია, მას მოსდევს უფრო სერიოზული სამართლებრივი შედეგი ვიდრე უმნიშვნელო დარღვევას. მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა (მუხლი 49), საქონლის შეცვლის მოთხოვნა (მუხლი 46) მხოლოდ არსებითი დარღვევის დროსაა შესაძლებელი. [134]

რა შემთხვევაშია დარღვევა არსებითი?! ვენის კონვენციის 25-ე მუხლის თანახმად, დარღვევა არსებითია, თუ ამას მოჰყვა მეორე მხარის **ზიანი**, რის გამოც მხარე მნიშვნელონად კარგავს იმას, რის მიღების იმედიც სამართლიანად ჰქონდა ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამრღვევი მხარე ვერ გაითვალისწინებდა ასეთ შედეგს.[135] იმისათვის რომ დარღვევა, ჩაითვალოს არსებითად, აუცილებელია, რომ სახეზე იყოს მომწოდებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტი, მიუხედავად იმისა, ეს ხელშეკრულების დარღვევა იქნება თუ

---

[130] Heinrichs, in Palandt BGB Komm., 72. Aufl., § 304, Rn. 2.

[131] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, 1980; მუხლი 25; ევროპის სახელშეკრულებო პრინციპები; 1999; მუხლი 8:103; უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები; 2010; მუხლი 7.3.1.

[132] სსკ-ის მუხლი 405, 1997 წ, კოდიფიცირებული.

[133] AnwKBGB-Magnus, vor §§249-255, Rn. 17.

[134] Veziroglu C; The Concept of Fundamental Breach in the CISG. http://www.academia.edu/2537514/The_Concept_of_Fundamental_Breach_in_the_CISG (ნანახია 27.05.2019).

[135] Köhler, Vertragsstrafe und Schadenersatz, GRUR, Heft 4, Verlag C.H. Beck, München, 1994, S. 261.

კონვენციის ნორმების.[136] არსებითი დარღვევის მთავარი კრიტერიუმი არის ის, რომ დარღვევა იწვევს ისეთ ზიანს მეორე მხარისათვის, რომ იგი მნიშვნელოვან წილად კარგავს იმას, რისი მოლოდინიც ჰქონდა ხელშეკრულების საფუძველზე". არსებითი დარღვევის შეფასებისას მნიშვნელოვანია დაზარალებული მხარის ინტერესი ხელშეკრულების შესრულებისადმი.[137]

მაგალითად, როდესაც ხელშეკრულების დარღვევა ეხება მიწოდების ვადას - ამ შემთხვევაში, არსებითი დარღვევა დამოკიდებულია არა ზიანის იდენობაზე, არამედ იმაზე, რომ ხელშეკრულება ვადაში არ შესრულდა. [138]ან მაგალითად, თუ ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული რომ საქონელი უნდა ყოფილიყო შეფუთული, არსებითი დარღვევა დადგება არა მარტო მაშინ, როცა ნივთი დაზიანდა, არამედ შეუფუთავად მიწოდების შემთხვევაშიც, როცა მყიდველი მას ვეღარ გადაყიდის ან გადაზიდავს უსაფრთხოდ.[139]

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, არის **განჭვრეტადობა**. რამდენად შეეძლო დამრღვევს, განესაზღვრა შედეგის მნიშვნელობა - გასათვალისწინებელია მისი ცოდნა და შესაძლებლობები.[140] გარდა აღნიშნული კრიტერიუმებისა, ევროპის სახელშეკრულებო პრინციპების 8:103-ე მუხლის „გ" პუნქტის და უნიდროას პრინციპების 7.3.1. მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, არსებითი შეუსრულებლობა სახეზეა, თუ იგი ჩაითვლება გამიზნულ ქმედებად.[141]

უნიფიცირებულ აქტებში გასათვალისწინებელია პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა მხარემ დაარღვია ხელშეკრულება, მაგრამ არ შეიძლება მის მიმართ გამოყენებულ იქნას სამართლებრივი მექანიზმის უკიდურესი ზომა - ხელშეკრულებიდან გასვლა, თუ დარღვევის შედეგი უმნიშვნელო და არასერიოზულია.[142]

---

[136] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 118; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 27.05.2019).

[137] Rimke J., Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000, 199, , http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/rimke.html#7, (ნანახია 27.05.2019)

[138] Cloppenburg, Mahnken, Haftungsbeschränkungen im Anlagenbau und AGB-Recht, NZBau, Heft 12, Verlag C.H. Beck München, 2014, S. 750.

[139] Veziroglu C; The Concept of Fundamental Breach in the CISG. http://www.academia.edu/2537514/The_Concept_of_Fundamental_Breach_in_the_CISG (ნანახია 27.05.2019)

[140] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 118; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 27.05.2019)

[141] ევროპის სახელშეკრულებო პრინციპები, 1999წ, მუხლი 8:103; უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები, 2010წ, მუხლი 7.3.1.

[142] Lando O., Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace International Law Review, Vol. 13, Issue 2, 2001, გვ.361. http://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1214&context=pilr (ნანახია 27.05.2019)

რაც შეეხება მტკიცების ტვირთის საკითხს, თავდაპირველად დაზარალებულმა მხარემ, ჩვენს შემთხვევაში მყიდველმა, უნდა დაამტკიცოს, რომ მას მიადგა ზიანი ან დაკარგა ინტერესი ხელშეკრულებისადმი. აღნიშნულის დადასტურების შემდგომ, კი დამრღვევი მხარე ამტკიცებს, რომ მას არ შეეძლო განეჭვრიტა შედეგი და ასევე მის ადგილას არც ერთ გონიერ ადამიანს. შედეგის განჭვრეტა როდის უნდა განხორციელდეს - ხელშეკრულების დადების მომენტში თუ ვალდებულების დარღვევისას, ვენის კონვენცია არ აკონკრეტებს. ეს საკითხი დავის გადაწყვეტის დროს სასამართლომ უნდა გადაჭრას.[143]

2.5. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები

2.5.1 დაუძლეველი ძალა (force majeure)[144]

სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი პრინციპი არის ის, რომ ხელშეკრულება უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა შესრულება მძიმე ტვირთად დააწვეს მხარეს, განიცადოს დანაკარგი სარგებლის ნაცვლად ან გახდეს მისთვის აზრს მოკლებული. [145]თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ეს პრინციპი არ არის აბსოლუტური და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველია დაუძლეველი ძალის არსებობა - force majure.[146] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს დაუძლეველ ძალას, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში ფორს მაჟორი განიმარტება როგორც იმდაგვარი ვითარება, როდესაც მხარეს არ შეუძლია თავიდან აიცილოს გარკვეული სტიქია, არ შეუძია ხელი შეუშალოს ან გადალახოს ეს წინააღმდეგობა ან მისი შედეგი.[147] თუკი შენახულ ნივთს მიადგა ზიანი, ეს განიხილება შემნახველის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად, მხოლოდ მაშინ, თუკი მან ყველა აუცილებელი პირობა შექმნა ნივთის შენახვისათვის, თუმცა ფორს-მაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო საფრთხის თავიდან აცილება. [148] ამასთან

---

[143] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 119; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 28.05.2019).

[144] *Brunner Ch.*, Force Majeure and Hardship under General Contract Principles, Exemption for Nonperformance in International Arbitration, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2009, 109.
Semdgomi miTiTebebiT: *Magnus U.,* Force Majeure and the CISG, In the International Sale of Goods Revisited, edited by *Sarcevic* and *Volken,* The Hague, 2001, 8; *Kessedjian C.,* Competing Approaches to Force Majeure and Hardship, Int'l Rev. L. & Econ, Vol. 25, 2005, 430, <www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/-kessedjian.html>, [10.02.2014]; *Barry N.*, Force Majeure and Frustration, Am. J. Comp. L., Vol. 27, 1979, 231,<www.heinonline.org/HOL/PDF?handle=hein.journals/amcomp27&collection=journals&section=22&id-=245&print=section&sectioncount=1&ext=.pdf>, (ნანახია 10.06.2019).

[145] Schuhmann, Terminsicherung im Anlagenbau: Vertragsstrafe oder pauschalierter Schadenersatz? ZfBR, Heft 9, Verlag C.H. Beck, München, 2009, S. 311.

[146] Janoschek, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3.

[147] იხ . თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის N 2-14965-12 გადაწყვეტილება.

[148] შდრ. ძლიერი წვიმის დროს საჯარიმო ავტოსადგომზე დაზიანებული ავტომობილის შემთხვევა. სასამართლოსამასთან, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მიმბარებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ფორს-მაჟორული გარემოების მიუხედავად განმარტებით, შემნახველი, რომელიც იყო სპეციალური ავტისადგომი, შენახვის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ვალდებული იყო უზრუნველეყო შენახვის

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მიმბარებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა ფორს-მაჟორული გარემოების მიუხედავად.[149] დაუძლეველია გარემოება, რომელიც შესრულებას შეუძლებელს ხდის და არა დამამძიმებელს და რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია.[150] გამონაკლისია, შემთხვევა, როცა გამყიდველმა იცოდა, პროგნოზირებადი იყო გარემოება, რომელიც შეუძლებელს გახდიდა შესრულებას.[151] დაუძლეველი ძალისათვის დამახასიათებელი ნიშანია ასევე ის, რომ იგი გამყიდველის ნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებაა. ანუ მხარესთან მიმართებაში იგი შესრულების შეუძლებლობის გარეგან მიზეზს წარმოადგენს.[152]

თანამედროვე სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მხარეები თავად განსაზღვრავენ ხელშეკრულებაში იმ გარემოებებს, რომელთა დადგომის შემთხვევაში გათავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან.[153]

ვენის კონვენციის 79-ე მუხლი არეგულირებს შემთხვევევბს, თუ რა შემთხვევებში თავისუფლდება მხარე პასუხისმგებლობისგან. აღნიშნული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მხარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო, თუ დაამტკიცებს, რომ იგი გამოწვეული იყო დაბრკოლებით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა, და რომ მხარისათვის არაგონივრული იყო ამ დაბრკოლების გათვალისწინება ხელშეკრულების დადების დროს. ვენოს კონვენციის 79-ე მუხლის მესამე ნაწილი აკონკრეტებს, რომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ვრცელდება იმ პერიოდზე, რომლის განმავლობაში შესრულება ობიექტურად შეუძლებელი იყო, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ შემდგომ პერიოდში მხარემ დაუყოვნებლოვ უნდა შეასრულოს თავის ვალდებულება. [154]მე-4 ნაწილის მიხედვით, თუკი მხარე ვერ ასრულებს თავის ვალდებულებას, იგი ვალდებულია მეორე მხარეს გაუგზავნოს შეტყობინება ამის შესახებ. თუ ეს შეტყობინება, მეორე მხარეს არ მიუღია გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც იგი ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო იმ

აუცილებელი პირობები — გადაეხურა ავტოსადგომი, რაც წარმოადგენს შენახვის აუცილებელ, ჩვეულებრივ პირობების შექმნას. ასეთი პირობების შექმნის მიუხედავად, თუკი დადგებოდა ისეთი სტიქიური მოვლენა, როგორიცაა ქარიშხალი, ციკლონი, მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობა და ა.შ. და შენახულ ნივთს მიადგებოდა ზიანი ეს უკვე განიხილებოდა შემნახველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად, რადგან მან ყველა აუცილებელი პირობა შექმნა ნივთის შენახვისათვის, თუმცა ფორს-მაჟორული სიტუაქციიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო საფრთხის თავიდან აცილება, (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის N2-14965-12 გადაწყვეტილება.

[150] MüKo/Gottwald, BGB, 7. Auflage, 2016, § 339, Rn. 10.

[151] Janoschek, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3.

[152] ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბილისი 2001 წ. გვ 371-373.

[153] Brunner C, Force Majeure and Hardship under General Contract Principles – Exemption for Non-Performance in International Arbitration, 2009; http://translex.uni-koeln.de/output.php?docid=100970 (ნანახია 30.05.2019).

[154] *Schwenzer I.,* Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, VUWLR, Vol. 39, 2008, 714, <http://www.austlii.edu.au/nz/journals/VUWLawRw/2008/39.pdf>,(ნანახია 30.05.2019)

მხარისათვის, რომელიც ვალდებულებას ვერ ასრულებს, - ამ უკანასკნელს ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია შეტყობინების მიუღებლობით.[155]

ფორს-მაჟორულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს, ვენის კონვენციის ანალოგიურად არეგულირებს უნიდროასა (7.1.7. მუხლი) და ევროპის სახელშეკრულებო პრინციპები (8:108 მუხლი). განსხვავებით ვენის კონვენციისგან , აღნიშნული პრინციპები მხარეს ათავისუფლებს, როგორც ზიანის ანაზღაურებასთან დკავშირებული პასუხისმგებლობისგან, ასევე ნატურით შესრულებისგან. [156]

2.5.2. შესრულების გართულება

გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, არსებობს გარემოებები, რომელიც შეუძლებელს კი არ ხდის შესრულებას, არამედ მხოლოდ ართულებს. მოვლენები, რომლებიც იწვევენ სახელშეკრულებო თანასწორობის ფუნდამენტურ ცვლილებას, ცნობილია ,,hardship"-ის (შესრულების გართულება) სახელწოდებით.[157] აღნიშნულ საკითხს დეტალურად არეგულირებს უნიდროას პრინციპები (6.2.2 მუხლი), ხოლო საკითხს ასევე ეხევა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი.[158] უნიდროსას პრინიცპების 6.2.2 მუხლის თანახმად, შესრულების გართულების არსებობისთვის, აუცილებელია, სახეზე იყოს შემდეგი გარემობები: ა) შესრულების ღირებულების გაზრდა - ეს ისეთი შემთხვევაა, როცა შესასრულებელი ვალდებულების ღირებულება იზრდება, მაგალითად, საქონლის დამზადებისთვის საჭირო მასალების ღირებულების ზრდა. ბ) მყიდველის მიერ მისაღები შესრულების ღირებულების შემცირება - როდესაც მყიდველისასთვის შესრულება კარგავს ღირებულებას.[159] ეს შეიძლება განპირობებული იყო მაგალითად, ბაზარზე ინფლაციით, რაც ობიექტურად უნდა განისაზღვრებოდეს და არა მიმღები მხარის სუბიექტური დამოკიდებულებით. [160]

გართულება სახეზე არის, როდესაც შესრულება ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, - მას შემდეგ, რაც მხარე განახორციელებს შესრულებას, მას უფლება არა აქვს მიუთითოს მისი შესრულების ღირებულების არსებით გაზრდაზე.[161] უნიდროას პრინციპებში შესრულების გართულებისა და ფორს-მაჟორის შესაბამისი ცნებების არსებობის

---

[155] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 388; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 30.05.2019).

[156] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ; 1980 წ. მუხლი 79; უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები; 2010წ. მუხლი 7.1.7 და ევროპის სახელშეკრულებო პრინციპები; 1999წ. მუხლი 8:108

[157] უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები; 2010წ. მუხლი 6.2.2.

[158] BGH, Urteil vom 5.11.2015 – VII ZR 43/15.

[159] Janoschek, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3.

[160] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung.

[161] Schmidt H., Beck'scher Online-Kommentar BGB, §353, Rn. 2.

მიუხედავად, შესაძლოა დადგეს ფაქტობრივი სიტუაცია, რომელიც ერთსა და იმავე დროს შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც გართულების, ისე ფორს-მაჟორის შემთხვევად. ასეთ დროს, მხარეს, რომელზეც ეს მოვლენები ახდენენ ზეგავლენას, შეუძლია გადაწყვიტოს, თუ რომელ სამართლებრივ საშუალებას მიმართავს. თუ მიმართავს ფორს-მაჟორს, იგი თავისუფლდება შესრულების განხორციელებისაგან. ხოლო თუ მიმართავს გართულებას, ეს უპირველესად შესაძლოა მოხდეს ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის მიზნით, რათა ხელშეკრულებამ განაგრძოს არსებობა გადასინჯული პირობებით.[162]

მოვლენების გართულების შემთხვევაში ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად. მართალია უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპებში პირდაპირ ამასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი, თუმცა, როგორც მოთხოვნა ხელშეკრულების გადასინჯვაზე, ისე ორივე მხარის ქცევა ხელშეკრულების გადასინჯვის პროცესში უნდა ექვემდებარებოდეს კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპის დაცვას (მუხლი 1.7.) და თანამშრომლობის ვალდებულებას (მუხლი 5.1.3). ამდენად მხარეს გულწრფელად უნდა სჯეროდეს, რომ შესრულების გართულება ნამდვილად არსებობს და ხელშეკრულების გადასინჯვის მოთხოვნა არ უნდა იყოს მისთვის ტაქტიკური სვლა. მას შემდეგ რაც მოთხოვნა წარედგინება მეორე მხარეს, მყიდველიც და გამყიდველიც ვალდებულნი არიან მოლაპარაკება აწარმოონ კონსტრუქციულად, კერძოდ, თავი შეიკავონ ნებისმიერი ფორმით ბარიერების შექმნისაგან და მიაწოდონ ერთმანეთს ყველა საჭირო ინფორმაცია. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.[163] ესეთი სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას, როდესაც მაგალითად მყიდველი სრულ იგნორირებას უკეთებს გადასინჯვის თაობაზე გაკეთებულ მოთხოვნას და როდესაც ხელახალმა მოლაპარაკებამ, მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერად იყო წარმართული, ვერ გამოიღო დადებითი შედეგი.[164] თავის მხრივ, სასამართლო ასეთ დროს ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობს და შეუძლია, არ დააკმაყოფილოს სარჩელი, გააგრძელოს შესრულებისათვის დადგენილი ვადა, აგრეთვე შეამციროს ან გაზარდოს ხელშეკრულების ფასი ან ხელშეკრულების საგნის მოცულობა.[165] სასამართლომ ხელშეკრულება ისე უნდა შეუსაბამოს შეცვლილ გარემოებებს, რომ მათ შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგები თანაბრად გადანაწილდეს მხარეთა შორის.[166]

---

[162] Perillo M. Joseph, Force majeure and Hardship under UNIDROIT principles of international commercial contracts. http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html, (ნანახია 30.05.2019).

[163] Grüneberg, in Palandt BGB Komm, 77. Auflage, §339, Rn. 5.

[164] Perillo M. Joseph, Force majeure and Hardship under UNIDROIT principles of international commercial contracts; http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html (ნანახია 30.05.2019).

[165] Schellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 9. Auflage, S. 796.

[166] Lando/Beale,Principles of European Contract Law, 2000, გვ.326.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნიდროას პრინციპები შესრულების გართულებასთან დაკავშირებულ საკითხებს დეტალურად არეგულირებს, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მოთხოვნებიდან.[167]

[167] Grüneberg, in Palandt BGB Komm, 77. Auflage, §339, Rn. 5.

3. მყიდველის მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობის ხელშეკრულებაში

ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. იგი დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან კანონით გათვალისწინებული ფორმით.[168] ნასყიდობის ხელშეკრულების კანონით გათვალისწინებულ არსებით პირობებად განიხილება ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის საგანი. ამასთან განსაზღვრული უნდა იყოს მხარეები, რომელთაც წარმოეშობათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.[169] გარდა კანონის მიერ განსაზღვრული არსებითი პირობებისა, მხარეებმა შესაძლოა თავად დააწესონ არსებითი პირობები. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება სსკ-ს 327-ე მუხლის შესაბამისად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები აღნიშნულ პირობაზე შეთანხმდნენ.[170]

გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს ნივთი, რომელიც სსკ-ს 487-489-ე მუხლების შესაბამისად უნაკლოა, ანუ ხელშეკრულების შესაბამისია. ამ თვალსაზრისით იმიჯნება ინდივიდუალური და გვაროვნული ნივთის გადაცემის ვალდებულება. კერძოდ, გვაროვნული ნივთის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნებისმიერი უნაკლო ნივთი შეთანხმებული პარტიიდან.[171] ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში კი გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს სწორედ ის ნივთი, რომელზედაც მოხდა შეთანხმება. აღნიშნულ გამიჯვნას ითვალისწინებს 381-ე და 382-ე მუხლები, რაც თავად სახელშეკრულებლო შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებიდან არის ნაწარმოები და მისი უგულვებელყოფა ვერ მოხდება. [172]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვენის კონვენცია ითვალისწინებს საფუძველს, რომლის უნდა დადგეს, იმისათვის რომ მყიდველმა გამოიყენოს მეორადი მოთხოვნის უფლებები, მაგალითად: თავისდროული შეტყობინება საქონლის შეუსაბამობის შესახებ, არსებითი დარღვევის არსებობა, დამატებითი ვადის განსაზღვრა და ა.შ. ზოგიერთი დაცვის საშუალების გამოყენებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს არსებითი დარღვევა, კერძოდ: ხელშეკრულებიდან გასვლის ან საქონლის შეცვლის უფლების მოთხოვნა შეუძლებელია, თუ ვალდებულების არსებით დარღვევას არა აქვს ადგილი.[173] რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, იგი ერთადერთი საშუალებაა, რომელიც შეიძლება

---

[168] ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარები, gccc.ge, 06.04.2016, მუხლი 477-ე, ველი 13.
[169] MüKo/Westermann, BGB, 6. Aufl., 2012, § 433, Rn. 9.
[170] ბაღიშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.08.2016, მუხლი 327, ველი 6.
[171] CANARIS, FS Lorenz, 147, MEDICUS, Schuldrecht I, Rn. 503g
[172] Faust, in Beck OK BGB, § 433, Rn. 30
[173] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ; 1980; მუხლი 46 და 49.

გამოიყენოს მყიდველმა ნებისმიერ დროს ნებისმიერ სხვა საშუალებასთან ერთად. აღნიშნულის მიზანი, არის ის, რომ მოხდეს კომპენსირება იმ დანაკარგის, რომელიც წარმოიშვა, მიუხედავად სხვა მეორადი მოთხოვნის უფლების გამოყენებისა.[174]

3.1.დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება

ნაკლის გამოსწორება ან ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი გამოცვლის მოთხოვნა უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა მეორად მოთხოვნებს შორის. თუმცა მეორედი მოთხოვნის უფლება ვერ წარმოიშვება მანამ, სანამ არ გამოიკვეთება, რომ მოვალის მიერ ვალდებულება არ ან ვერ სრულდება.[175]

პირველადი შესრულების მოთხოვნა გამორიცხავს მეორად მოთხოვნებს.[176] შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ვალდებულებას ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად არ შეასრულებს, კრედიტორს წარმოეშობა მეორადი მოთხოვნების განხორციელების უფლებამოსილება.[177]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის მიხედვით, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს იგი საამისოდ აუცილებელ ვადაში. „გერმანული სამართლისაგან განსახვავებით, არჩევანის უფლება ამ ორი სახის ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნას შორის გამყიდველს გააჩნია.“[178] განსხვავებული ვითარებაა უნიფიცირებულ აქტებში, კერძოდ: ვენის კონვენციის 46-ე მუხლი აძლევს მყიდველს უფლებას, მოითხოვოს გამყიდველისაგან ნაკისრი ვალდებულების რეალური (ნატურით) შესრულება. კერძოდ მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ან საქონლის შეცვლა (ვენის კონვენციის 46 (2) მუხლი) ან ნაკლის გამოსწორება (ვენის კონვენციის 46 (3) მუხლი). დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება იკავებს თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების ადგილს. სახელწოდებიდან გამომდინარე მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების გაგრძელებას, რომელიც იკავებს მის ადგილს. დამატებითი შესრულება პირველი რიგის უფლებაა მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის.[179]

---

[174] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 224; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 03,06,2019)

[175] ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონალინკომენტარი , gccc.ge, 28.03.2016, 490-ე მუხლი, ველი 2.

[176] Palandt/HEINRICHS, § 243 Rn. 5; BGH BB 65, 349.

[177] Westermann, Das neue Kaufrecht, NJW, Heft 4, 2002, S. 248.

[178] ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონალინკომენტარი , gccc.ge, 28.03.2016, 490-ე მუხლი, ველი 4.

[179] ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეც. 2008წ. თბილისი.

ხშირ შემთხვევაში, მყიდველის ინტერესი არის სწორედ ხელშეკრულების შესრულება, ამიტომ ხელშეკრულებიდან გასვლა უკიდურეს შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, იგი ხშირად არ გამოიყენება პრაქტიკაში, დაზარებული მხარე ჩვეულევრივ სხვა მოთხოვნის შესრულებას ირჩევს.[180]

იმისათვის, რომ მყიდველმა დამატებითი შერსულების უფლება მოითხოვოს, აუცილებელია არსებობდეს ვალდებულება, რომელიც არ უნდა იყოს შესრულებული. ამასთანავე, მყიდველს არ უნდა ჰქონდეს ინტერესი დაკარგული. მას ამ შემთხვევაში აქვს უფლება დამატებითი ვადა განუსზღვროს გამყიდველს ვალდებულების შესასრულებლად.[181]

რეალური შესრულება სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებაში უპირატესი მოთხოვნაა.[182] იგი მოვალისთვის დამატებითი შანსია, „გადაარჩინოს“ ხელშეკრულება და დააკმაყოფილოს შესრულების ინტერესი.[183] მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ ჩაივლის, მყიდველს ეძლევა შესაძლებლობა, განახორციელოს სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება თუ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.[184]

სსკ-ს 490-ე მუხლის ნაწილის თანახმად, „თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში.“

გერმანული სამართალი განსხვავებულად არეგულირებს ნაკლის გამოსწორებასა და ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლის საკითხებს. გერმანული რეგულაციებისგან განსხვავებით, არჩევანის უფლება 490-ე მუხლის მიხედვით მინიჭებული აქვს გამყიდველს.[185] თუმცა, არჩევანი აზრს კარგავს, როცა საქმე ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთს ეხება, შესაბამისად მყიდველის მოთხოვნა მხოლოდ ნაკლის გამოსწორებით იზღუდება.[186] ვენის კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ზღუდავს რეალური შესრულების მოთხოვნის უფლებას, თუ მყიდველმა მიმართა მოთხოვნის ისეთ საშუალებას, რომელიც გამორიცხავს შესრულებას.

---

[180] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 128.

[181] Chengwei L; "Remedies for Non-performance – Perspectivves from CISG, UNIDROIT Principles and PECL; 2005; გვ 38-39.

[182] Mankowski, Das Zusammenspiel der Nacherfüllung mit den kaufmännischen Untersuchungs-und Rügeobliegenheit, NJW, Heft 13, 2006, S. 865.

[183] ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc,ge, 28.03.2016, 490-ე მუხლი, ველი 11.

[184] ჩაჩავა ს., მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., გვ. 65-67.

[185] ჩაჩავა ს.,მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, გვ. 51.

[186] ბაჩიაშვილი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008წ, გვ. 170.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი თავდაპირველად მიმართავს რეალური (ნატურით) შესრულების მოთხოვნის უფლებას და გამყიდველი არ შეასრულებს, - მას შეუძლია აირჩიოს სხვა მოთხოვნის საშუალება მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა, თუ გასვლისათვის აუცილებელი ყველა პირობა იქნება სახეზე. ხოლო თუ მყიდველმა განუსაზღვრა გამყიდველს დამატებითი ვადა ხელშეკრულების შესასრულებლად [187]- ამ პერიოდის განმავლობაში მყიდველს ეკრძალება სხვა საშუალების გამოყენება, თუმცა იგი ინარჩუნებს უფლებას ზიანის ანაზღაურებაზე.[188] ვენის კონვენცია არ განსაზღვრავს რა ვადაში უნდა მოხდეს რეალური შესრულების განხორციელება გამყიდველის მიერ. აღნიშნული საკითხი პრაქტიკაში ძირითადად რეგულირდება მხარეთა შორის შეთანხმებით ან საერთაშორისო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული ჩვეულებებით. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვენის კონვენციის ეს ხარვეზი უნდა შეივსოს უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპების 7.2.2. მუხლით, რომელიც აღნიშნავს, რომ შესრულება უნდა მოხდეს გონივრულ ვადებში.[189]

3.1.1. ნივთის შეცვლის მოთხოვნა

ინდივიდუალური ნივთის შეცვლა დამატებითი შესრულების ფარგლებში, როგორც წესი, შეუძლებელია. იურიდიულ ლიტერატურაში ეს მოსაზრება აბსოლუტურად გაბატონებულად გვევლინება.[190] ნაკლიანი ნივთის უკანლოთი შეცვლა დამატებითი შესრულების ერთ-ერთი საფუძველია და გამოიყენება მაშინ, როდესაც მყიდველის ინტერესი ხელშეკრულების შესრულებაშია.[191] სსკ-ს 490-ე მუხლის პირველი ნაწილი, დასაშვებად მიიჩნევს საქონლის შეცვლას, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს. გვაროვნული ნივთის შემთხვევაში გამყიდველს აქვს არჩევანი, შეცვალოს ნაკლიანი უნაკლოთი ან გამოასწოროს ხარვეზი.[192] დამატებითი შესრულების მოთხოვნა უფლება არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა გამყიდველი რაიმე ფორმით პასუხისმგებელი ნივთის ნაკლისათვის, გამოიწვია თუ არა მან ეს ნაკლი თავად, ან თუ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ამ ნაკლის თაობაზე.[193]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, სხვაგვარად რეგულირდება საქონლის შეცვლის მოთხოვნის უფლების საკითხი უნიფიცირებულ აქტებში. ვენის კონვენციის 46-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: ა) თუ გამყიდველმა მიაწოდა ნაკლის მქონე საქონელი, ბ) შეუსაბამობა წარმოადგენს ხელშეკრულების

---

[187] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ; 1980, მუხლი 47.
[188] Heinrichs, in Palandt BGB Komm., 72. Aufl., § 294, Rn. 2.
[189] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 227-228; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 06.06.2019)
[190] ბაჩიაშვილი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008 წ.
[191] ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში (2010), გვ. 61.
[192] ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 10.09.2016, მუხ. 490 ველი 18.
[193] Emmerich, BGB-Schuldrecht Besonderer Teil, § 3 IV 1 Rn. 14

არსებით დარღვევას გ) საქონლის შეცვლა მოთხოვნილ იქნა შეტყობინებით , მას შემდეგ რაც მყიდველმა აღმოაჩინა საქონლის ნაკლი და ამის შესახებ აცნობა მყიდველს ვენის კონვენციის 39-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით ან გონივრულ ვადაში, აღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში, ვენის კონვენცია უფლებას აძლევს მყიდველს, განსხვავებით სსკ-ის შესაბამისი ნორმისაგან, სადაც არჩევანის უფლება გამყიდველზეა, მოთხოვოს გამყიდველს საქონლის შეცვლა. ხოლო ვენის კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად, საქონლის ნაკლი სახეზეა, თუ საქონელი უხარიხსოა, არასწორადაა შეფუთული ან არ არის საკმარისი რაოდენობის.[194] როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ვენის კონვენცია მოითხოვს, რომ დარღვევა იყოს არსებითი. ხელშეკრულების არსებითი დარღვევა კი საქონლის შეცვლის მიზნებისთვის ისეთივე ხარისხის უნდა იყოს, როგორც გასვლის მიზნებისთვის.[195] აღნიშნული კი არის ერთ-ერთი განსხვავება სსკ-სგან, რომელიც მნიშვნელოვან დარღვევას აუცილებელ პირობად მიიჩნევს, თუმცა არ განსაზღვრავს კრიტერიუმებს (თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება დარღვევა არსებითად), მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში.[196]

საქონლის შეუსაბამობა, რომელიც ეხება რაოდენობას, არ ჩაითვლება არსებით დარღვევად, თუ მყიდველს შეუძლია ყოველგვარი გაუმართლებელი დანაკარგის გარეშე საქონლის გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის ან გაყიდვა.[197] მაგალითად გაყინული ხორცის მიწოდება, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობით ცხიმებს და წყალს, რომელიც ამის გამო, ექსპერტთა აზრით 25,5%-ით ნაკლებია (ხორცის სუფთა წონა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ოდენობაზე, - ჩაითვალა, რომ ადგილი არა აქვს ხელშეკრულების არსებით დარღვევას, რადგან მყიდველს შეუძლია გაყიდოს ხორცი შედარებით დაბალ ფასად ან გამონახოს სხვა ალტერნატიული გზა.[198] ამასთან დაკავშირებით რიგმა სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ თუ ნაკლი ადვილად გამოსწორებადია, საქონლის შეუსაბამობა არ მიიჩნევა არსებით დარღვევად.[199] ყოველ შემთხვევაში, თუ გამყიდველი სთავაზობს მყიდველს მისთვის ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე, ნაკლის სწრაფად და ეფექტურად გამოსწორებას, ადგილი არ ექნება არსებით დარღვევას.[200]

---

[194] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, 1980წ, 35-ე მუხლი.

[195] Chengwei L; "Remedies for Non-performance – Perspectivves from CISG, UNIDROIT Principles and PECL; 2005; გვ 42-43;

[196] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 384.

[197] SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 25; KAPPUS, NJW 1994, 984 (984); OLG Frankfurt, NJW 1994, 1013 (1014).

[198] Switzerland, 28 October, 1998; Suppreme court; [Meat case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/981028s1.html (ნანახია 07.06.2019).

[199] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 387.

[200] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 227-228; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 07.06.2019).

მყიდველის უფლება, მოითხოვოს საოქნლის შეცვლა, მას ავალდებულებს დააბრუნოს მიღბული საქონელი ისეთი, როგორ მდგომარეობაშიც მიიღო.[201] თუ მყიდველისთვის შეუძლებელია მიღებული საქონელის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება, იგი კარგავს უფლებას მოითხოვოს მისი შეცვლა.[202] თუმცა ვენის კონვენციის 82-ე მუხლის თანახმად, არსებობს გამონაკლისი. მყიდველს შეუძლია მოითხოვოს საქონლის შეცვლა, ა) თუ საქონლის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების შეუძლებლობა არ არის გამოწვეული მყიდველის მოქმედებით ან დაუდევრობით, ბ) თუ საქონელი უვარგისი გახდა ან გაფუჭდა კონვენციის 38-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის შემოწმების შედეგად, ან გ) საქონელი ან მისი ნაწილი გაიყიდა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ან მოხმარებულ იქნა ან გადაკეთდა მყიდველის მიერ მისი ჩვეულებრივი გამოყენების მიზნით მანამ, სანამ იგი აღმოაჩენდა შეუსაბამობას ან უნდა აღმოეჩინა იგი. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სსკ-ი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებულ შემთხვევაში და არაფერს ამბობს საქონლის გამოცვლის შემთხვევაზე.[203]

საქონლის შეცვლის უფლების გამოყენება არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.[204] თუმცა, როდესაც გამყიდველი სთავაზობს მყიდველს ნაკლიანი ნივთის უნაკლოთი შეცვლას და ეს უკანასკნელი უარს ამბობს - ასეთ დროს სასამართლო ზიანის ოდენობას ამცირებს.[205] საქონლის შეცვლის მოთხოვნა ხელშეკრულების შეწყვეტას არ იწვევს. თუ მყიდველმა დაკარგა საქონლის შეცვლის მოთხოვნის უფლება, იგი ინარჩუნებს უფლებას ყველა სხვა საშუალებებზე, გარდა ხელშეკრულებიდან გასვლისა.[206]

ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსხვავებით ვენის კონვენციისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მნიშვნელოვნად ხარვეზიანია საქონლის შეცვლის მოთხოვნის საკითხების რეგულირებისას,[207] - ერთი, რომ იგი გამყიდველს აძლევს უფლებას აირჩიოს, თუ რომელი საშუალება გამოიყენოს, განახორციელოს საქონლის შეცვლა, თუ ნაკლის გამოსწორება, ნაცვლად იმისა, რომ ეს უფლება მიანიჭოს დაზარალებულ მხარეს.[208] ასევე არ ითვალისწინებს საქონლის შეცვლის მოთხოვნის წინაპირობად ხელშეკრულების არსებით დარღვევას, რაც თავად ამ სამართლებრივი

---

[201] FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Art. 79 CISG Rn. 13.
[202] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 391.
[203] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, 1980წ. მუხლი 82; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997წ. მუხლი 352, კოდიფიცირებული.
[204] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 392.
[205] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 228; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 10.06.2019)
[206] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 230. http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 10.06.2019)
[207] MüKo/Westermann, BGB, 6. Aufl., 2012, § 439 Rn.15.
[208] ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში (2005), გვ. 301.

დაცვის საშუალების მძიმე ხასიათიდან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია.[209] და ერთ-ერთი მთავარი, - არ განსაზღვრავს საქონლის შეცვლის შემთხვევაში სამართლებრივ შედეგებს (ამ საკითხს არეგულირებს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებაში).

3.1.2 ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა

დამატებითი შესრულების მეორე მნიშვნელოვანი ფორმაა ნაკლის გამოსწორება.[210] ვენის კონვენცია მყიდველს აძლევს საშუალებას მოიტხოვოს ნაკლის გამოსწორება თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებას.[211]კერძოდ, ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია: ა) სახეზეა დარღვევა განურჩევლად იმისა დარღვევა არსებითია თუ არა, ბ)ნაკლის გამოსწორება გონივრულია ყველა გარემოების გათვალისწინებით გ) მყიდველმა გამოსწორება მოითხოვა ნაკლის აღმოჩენისთანავე (დაიცვას ვენის კონვენციის 39-ე მუხლი).[212] როგორც ჩანს, საქონლის შეცვლის მოთხოვნისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ნაკლის არსებითობას მნიშვნელობა არ აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა არაგონივრულია, თუ მყიდველს თვისი ძალებით შეუძლია ნაკლი აღმოფხვრას, თუმცა ის ამ შემთხვევაში ინარჩუნებს ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.[213] თუ ვერ მოხერხდა ნაკლის გამოსწორება, მყიდველს უფლება აქვს ხელმეორედ მოითხოვოს იგი ამისათვის გონივრულ ვადაში გაკეთებული შეტყობინებით.[214] პირველი შეუსაბამობის შემთხვევაში შეტყობინების 2 კვირაში გაგზავნა, მეორედ შეუსაბამობის შემთხვევაში - 1 თვე და შემდგომ შეუსაბამობებზე - 6-დან 11 თვემდე, - განიხილება გონივრულ ვადად საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად.[215]

ნაკლის გამოსწორების ვალდებულება, ცხადია, ვრცელდება მხოლოდ უშუალოდ ნასყიდობის საგანზე და ის არ მოიცავს ნაკლიანი ნივთის შედეგად სხვა ნივთებზე წარმოშობილ ნაკლს.[216] მაგალითისათვის, მყიდველმა შეიძინა დამაგრძელებელი, რომელიც ნაკლიანი აღმოჩნდა, გამოყენების დროს გამოიწვია მოკლეჩართვა და გადაიწვა ტელევიზორი რომელიც მასში იყო შეერთებული. ნაკლის გამოსწორება ან შეცვლა

---

[211] MüKo/WESTERMANN,§ 438 Rn. 38.

[212] ვენის კონვენცია საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, 1980წ, მუხლი 46.

[213]BGH NJW 1968, 2238.

[214] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 233; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 10.06.2019)

[215] Chengwei L; "Remedies for Non-performance – Perspectivves from CISG, UNIDROIT Principles and PECL; 2005; გვ 44-46;

[216] ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 128.

მოხდება დამაგრძელებლისა და არა ტელევიზორის, ამ უკანასკნელზე შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება.[217]

სსკ-ს 490-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ,,გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯი." აღნიშნული მუხლის მიხედვით, ხარჯების, რომელიც გაწეულ იქნა ნივთის ნაკლის გამოსწორებისთბის ეკისრება გამყიდველს, ეს იქნება ტრანსპორტირების (ნივთის მყიდველისთვის დაბრუნების) თუ სხვა ხარჯი, რომელიც აუცილებელია ნაკლის გამოსწორებისთვის.[218]

იმ შემთხვევაში, თუ მყიდეველი თავად გამოასწორებს ნაკლს, მას ექნება აღნიშნული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამყიდევლს დაეზოგა და არა იმ მოცულობით რაც მყიდევლმა გაიღო.[219] აქედან გამომდინარე, მყიდველის მიერ ნაკლის გამოსწორება შესაძლოა არაადეკვატური იყოს, შესაძლოა მან გაიღოს იმაზე მეტი ხარჯი ვიდრე გამყიდველი გაიღებდა მიზნის მისაღწევად.[220]

ზემოთაღნიშნული მსჯელობა ნიშანდობლივია მაშინ, როცა სსკ-ს 490-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გამყიდველს ენიჭება ნაკლის გამოსწორებაზე ან/და ნივთის შეცვლაზე უარის თქმა თუ ის მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხაჯებს. ხარჯები რამდენად შეუსაბამოა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს.[221] გერმანიის კანონმდებლობისგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს, რეალური შესრულებისგან გასათავისუფლებელ სპეციალურ დათქმას. თუმცა სსკ-ს 490-ე მუხლის მესამე ნაწილი ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც შესრულება შეუძლებელია და შესაბამისად, გათავისუფლების პირობაც დამდგარია. ასეთ დროს ხელშეკრულებიდან გასვლა არის გამოსავალი.[222] აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ თუ რეალური შესრულების ორივე სახის შესრულება შეუძლებელია არათანაზომიერი ხარჯების გამო ან სხვა მიზეზით, მყიდველი იძულებული ხდება სხვა

---

[217] Tiedtke/Schmitt, Probleme im Rahmen des kaufrechtlichen Nacherfüllungsanspruchs (Teil II), DStR, Heft 48, 2004, S. 2061.
[218] MüKo/Westermann, BGB, 6. Aufl., 2012, § 439 Rn.15.
[219] Faust,inBeck OK BGB, §439 Rn.21.
[220] MüKo/Westermann, BGB, 6. Aufl., 2012, § 439 Rn. 10, 16.
[221] SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 12; COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 387.
[222] ბეგიაშვილი, საქართველოს სამართალში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მოწესრიგების მიზანშეწონილობა, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, 2013, გვ. 46.

სახის მეორად მოთხოვნებს მიმართოს, როგორიცაა, ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება ან ზიანის ანაზღაურება.[223]

აქვე განვიზილოთ, სსკ-ს 490-ე მუხლი, რომლის მიხედვით თუ გამყიდველი გადასცემს უნაკლო ნივთს მყიდველს ნაკლიანის ნაცვლად, მყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს გამყიდველს ნაკლიანი ნივთი. აქ სამსჯელოა, მყიდველის ვალდებულება არის თუ არა დააბრუნოს ის სარგებელი, რაც ნაკლიანი ნივთით მიიღო. [224]

სამომხმარებლო ნასყიდობის შემთხვევაში, აღნიშნულთან დაკავშირებულ დისკუსიას გერმანულ დოქტრინაში წერტილი დაუსვა და ნივთით მიღებული სარგელბისა და უპირატესობის მოთხოვნა გამორიცხა გსკ-ის 474-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ლმა წინადადებამ.[225] სამომხმარებლო ურთიერთობებში ნივთის უკან დაბრუნების ფარგლების შეზღუდვა არ გამორიცხავს არასამომხმარებლო ნასყიდობის შემთხვევაში მოთხოვნის ფარგლების გავრცელების შესაძლებლობას ნივთის გამოყენებით მიღებულ სარგებელზე.[226]

3.1.3. დამატებითი ვადის განსაზღვრა

ნაკლის მქონე ნივთის შეცვლის და/ან გამოსწორების უფლებასთან ერთად, ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადის განსაზღვრაც წარმოადგენს დამატებითი შესრულების ერთ-ერთ სახეს.[227] დამატებითი ვადის განსაზღვრის ინსტიტუტი რეგულირგება სამივე უნიფიცირებული აქტით, კერძოდ ვენის კონვენციის 47-ე მუხლი, უნიდორას სახელშეკრულებო პრინციპების 7.1.5. მუხლი და ევროპის სახელშეკრულებო პრინციპების 8:106 მუხლი.

დამატებითი ვადების მიცემა გამყიდველისთვის ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, როცა ადგილი აქვს შესრულების ვადის გადაცილებას და მისი მიზანია გამყიდველისათვის ხელის შეწყობა, რათა მან შეძლოს დარღვეული ვადების აღდგენა.[228] აქ იკვეთება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, - მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხიმგებლობა შეუსრულებლობისათვის.[229] სადაც კი ურთიერთობის ბუნება იძლევა დამატებითი ვადის დანიშვნის შესაძლებლობას, ყველგან

---

[223] ბაჩიაშვილი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ.172, 176.

[224] ჩაჩავა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,gccc.ge, 28.03.2016, 490-ე მუხლი, ველი 2.

[225] FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Art. 79 CISG Rn. 13 .

[226] ჩაჩავა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,gccc.ge, 28.03.2016, 490-ე მუხლი, ველი 3.

[227] ჩაჩავა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,gccc.ge, 28.03.2016, 490-ე მუხლი, ველი5.

[228] SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 12; COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 387.

[229] FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Art. 79 CISG Rn. 13.

შეიძლება მისი გამოყენება.[230] იმ შემთხვევაში როდესაც დაბადების დღის ტორტს ვყიდულობთ კონკრეტული დღისთვის და მაღაზიამ მოწოდება დააგვიანა, დამატებითი ვადის მიცემა აზრს კარგავს.

ევროპის სახელშეკრულებო პრინციპების 8:106 მუხლი, მსგავსად ვენის კონვენციის 47-ე მუხლისა, მყიდველს აძლევს დამატებითი ვადის განსაზღვრის შესაძლებლობას გამყიდველისთვის, თუკი ამ უკანასკნელმა შესრულების ვადას გადააცილა.[231] დამატებითი ვადის განსაზღვრა გამყიდველისთვის ხშირად ასიცორდება ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლებასთან, როგორც აღნიშნული უფლების გამოყენების წინაპირობა, თუმცა იგი დამატებითი შანსია ხელშეკრულების ,,გადასარჩენად."[232] იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ვადა უშედეგოდ გავიდა, ეს არის მაჩვენებელი ხელშეკრულებიდან გასვლისთვის. [233]

მყიდეველისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა გარკვეულწილად ვალდებულებას აკისრებს. მყიდველს არ შეუძლია გამოიყენოს სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალება, როცა დამატებითი ვადა მიცემულია, თუმცა შეუძლია მოთხოვოს დამატებითი ვადის მიცემით მიმდგარი ზიანის ანაზღაურება.[234] ეს წესი ემსახურება გამყიდველის დაცვას, კერძოდ როდესაც იგი იღებს ნაკლის გამოსწორების ვალდებულებას დამატებით ვადაში, შესაძლოა მან მიიღოს გარკვეული ხარჯი ამ ნაკლის გამოსასწორებლად, დაიჯეროს რომ მყიდველი საქონელს მიიღებს.[235]

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ საშუალოდ რა ხანგრძლივობის უნდა იყოს დამატებითი ვადა. უნიფიცირებული აქტების თანახმად ვადა უნდა იყოს გონივრული. მაგალითად, დამატებითი ვადის განსაზღვრა 2 კვირით, იმისათვის, რომ გამყიდველმა მყიდველს მიაწოდოს 3 ცალი სატვირთო ავტომანქანა გერმანიიდან ეგვიპტეში, - სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა ხანმოკლედ. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გონივრულ ვადად ჩაითვალა 7 კვირა.[236]

აქედან გამომდინარე, დამატებითი ვადის განსაზღვრა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ყველა არსებითი გარემოების გათვალისწინებით. ასევე,

---

[230] ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბილისი 2001 წ. გვ 434;

[231] ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი,თბილისი, 2004 წ. 387 გვ.

[232] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 233; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 10.06.2019)

[233] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 235. http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf (ნანახია 10.06.2019).

[234] ვენის კონვენცია საერთასორისო ნასყიდობის შესახებ, 1980წ. მუხლი 47(2); ევროპის სახელშეკრულებო პრინციპები; 1999; მუხლი 8:106 (2) და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები; მუხლი 7.1.5. (2);

[235] Duncan Jr; John, C; Nachfrist was ist? Thinking globally and Acting Locally: Considering Time Extension Principles of The U.N. Convention on Contracts for the International Sale of Goods in Revising the Uniform Commercial Code; http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/duncan.html#iii

[236] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf; (ნანახია 15.06.2019).

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები, მოლაპარაკებები და პრაქტიკა, სავაჭრო ჩვეულებები და ა.შ.[237]

როგორც წესი, დამატებითი ვადის განსაზღვრა ორ სხვადასხვა მიზანს ემსახურება: ერთი შემთხვევაში, მყიდველს ნამდვიალდ სურს უნაკლო ნივთის მიღება და ხელშეკრულების ,,გადარჩენა", მეორე შემთხვევაში კი იყენებს ფორმალურად, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ერთ-ერთი წინაპირობა.[238]ამ უკანასკნელი მიზეზით, ხშირად პრაქტიკაში შეუსაბამოდ მოკლე ვადას უსაზღვრავენ.[239] ამ დროს კი სასამართლო ახანგრძლივებს ვადას გონივრულ პერიოდამდე. დამატებით ვადის განსაზღვრად არ უნდა ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც მხარეებმა ურთიერთშეთანხმების გზით მოახდინოს ხელშეკრულების მოდიფიკაცია.[240]

მსგავსად უნიფიცირებული აქტებისა, დამატებითი ვადის განსაზღვრის ინსტიტუტს იცნობს სსკ, რომლის 405-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისათვის აუცილებელია გავიდეს მყიდველის მიერ გამყიდველისათვის ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული დამატებითი ვადა.[241] აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული საქმოქალაქო სამართალი დამატებით ვადასთან დაკავშირებულ საკითხს საერთაშორისო ურთიერთობების მომწესრიგებლი ნორმების მსგავსად არეგულირებს.

3.2. ფასის შემცირება

ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატიული მოთხოვნაა.[242]იგი მყიდევლის მოთხოვნის უზრუნველყოფის ნაკლებად მკაცრი საშუალებაა. იმ შემთხვევაში თუკი მყიდველს სურს ხელშეკრულების ძალაში დატოვება, ფასის შემცირება სამართლიანად ახდენს მხარეთა ინტერესების დაბალანსებას.[243]

ფასის შემცირების მოთხოვნა, არის საშუალება, ნაკლიანი შესრულების დროს მოხდეს მხარეთა ურთიერთსაპასუხო შესრულების გათანაბრება.[244]იგი არის

---

[237] FERRARI/KIENINGER/MANKOWSKI/SAENGER, Art. 79 CISG Rn. 13.
[238] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 386.
[239] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 397.
[240] Duncan Jr; John, C; Nachfrist was ist? Thinking globally and Acting Locally: Considering Time Extension Principles of The U.N. Convention on Contracts for the International Sale of Goods in Revising the Uniform Commercial Code; http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/duncan.html#iii ; (ნანახია 15.06.2019).
[241] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997; მუხლი 405, კოდიფიცირებული,;
[242] ჩაჩავა; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 30.03.2016, მუხ. 492 , ველი 1;
[243] ჩაჩავა,მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით სამართლებრივი ანალიზი, გვ.68;
[244] ჩაჩავა,მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით სამართლებრივი ანალიზი, გვ. 67;

ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატიური მოთხოვნა.[245] კერძოდ, პირს რომელსაც გააჩნია ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა სსკ-ს 491-ე, 405-ე და 352-ე მუხლების კომბინაციით, ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს ფასის შემცირება,[246] რომელიც შეიძლება გავრცელდეს, როგორც უფლებრივ ისე ნივთობრივ ნაკლიან ნივთზე.[247]

ფასის შემცირების მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ ჩაივლის ან არსებობს დამატებით ვადის დაწესების გამომრიცხავი საფუძვლები (405-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად).[248] იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელშეკურლების შესრულებას, მას ასევე აქვს უფლება კვლავ მოითხოვოს დამატებითი შესრულება, ხოლო თუკი იგი ამას არ აკეთებსდა არც ხელშეკრულებაზე სურს თქვას უარი, მას ეძლევა შესაძლებლობა ფასის შემცირების მოთხოვნისა.[249]

ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, მნიშვნელოვანია თუ უმნიშვნელო ის ნაკლი, რომელიც ნივთს ახასიათებს. უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაში მყიდველს მხოლოდ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება აქვს (გსკ-ის 441-ე პარაგრაფი, სსკ-ის 492-ე მუხლი), ხოლო თუ ნაკლი მნიშვნელოვანია და გამყიდველმა არ გამოიყენა დამატებითი შესრულებისათვის მიცემული ვადა, მაშინ მყიდველს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან (გსკ-ის 440-ე პარაგრაფი, სსკ-ის 491-ე მუხლი), რის შემდეგაც დაიბრუნებს ნივთში გადახდილ ფასს, თუმცა სანაცვლოდ უნდა დააბრუნოს ნივთი და მიღებული სარგებელი.[250] შეუსაბამობაში იგულისხმება საქონლის ნივთობრივი ნაკლი, რაც თავის მხრივ შეიძლება გამოხატოს საქონლის ხარისხში, რაოდენობაში ან შეფუთვაში. საპირისპიროდ, არ გამოიყენება აღნიშნული უფლება, თუ ხელშეკრულების დარღვევა ეფუძნება ვადის გადაცილებას, ან ნებისმიერი ვალდებულების დარღვევას, გარდა ვალდებულებისა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი საქონლის მიწოდებას.[251] ფასის შემცირება მოხდება იმ ოდენობით, რა ოდენობითად დასჭირდებოდა ნაკლის გამოსწორებას ან იმ რაოდენობით, რაც რაოდენობითაც მცირდება ნივთის ღირებულება.[252]

ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლების ინსტიტუტს იცნობს, როგორც სსკ-ი, ასევე ვენის კონვენცია და ევროპის სახელშეკრულებო პრინციპები.

---

[245] BGH Urteilvom 09.01.2008 –VIII ZR 210/06, JuS, 2008, S. 558.
[246] Magnus, Staudinger BGB, 2005, CISG, Art. 45, Rn. 23.
[247] კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, §441, ველი2
[248] კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 441, ველი2.
[249] ჩაჩავა; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 30.03.2016, მუხ. 492 , ველი 3
[250] COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 384.
[251] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 243; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf
[252] ბაჩიაშვილი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნების უფლებები ნასყიდობაში, გვ.186.

ნიშნანდობლივია, რომ უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპებში ფასის შემცირებასთან დაკავშირებით არაფერია აღნიშნული.

ფასის შემცირების უფლების საკითხს არეგულირებს ევროპის სახელშეკრულებო პრინციპების 9:401 მუხლი, რომელიც ძალიან გავს ვენის კონვენციის 50-ე მუხლს. აღნიშნული მუხლის მიხედვით კი, ფასის შემცირების მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი სახით: თუ საქონელი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი, მიუხედავად იმისა, გადახდილია თუ არა საფასური, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმის პროპორციულად, რა შეფარდებაც იყო მიწოდებამდე საქონლის ღირებულებასა და იმ ღირებულებას შორის, რაც აქვს საქონელს მისი მიღების დროს. თუმცა თუ გამყიდველი კონვენციის შესაბამისი მუხლების (37-ე და 48-ე) საფუძველზე გამოასწორებს ნაკლს, რაც ხელს უშლის ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, ან თუ მყიდველი უარს იტყვის შესრულების მიღებაზე, მყიდველს ერთმევა შესაძლებლობა მოითხოვოს ფასის შემცირება.

რაც შეეხება ფასის გამოთვლას აღნიშნული უფლების გამოყენებისას, - ასეთ შემთხვევაში მოქმედებს პროპორციულობის პრინციპი. კერძოდ საქონლის ფასი მცირდება იმის პროპორციულად, რა შეფარდებაც იყო მიწოდებამდე საქონლის ღირებულებას და მისი მიწოდების დროს არსებულ ფასს შორის. გასათვალისწინებელია ორი მომენტი, ხელშეკრულების დადების დრო და მიწოდების დრო. მაგალითად, თუ არასწორად იყო ღვინის ბოთლები შეფუთული, რამაც გამოიწვია საქონლის გადაზიდვის დროს მათი დაზიანება, - საქონლის ღირებულება განისაზღვრება არა იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო ტრანსპორტირება, არამედ დანიშნულების ადგილზე ჩასვლის დროს არსებული ფასით. ამასთან მხარეებს შეუძიათ განსხვავებულად დაარეგულირონ ფასის შემცირებისას მისი გამოთვლის საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების დროს ცნობილი იყო, რომ მყიდველს საქონელი გასაყიდად უნდოდა, ხოლო მიიღო რა ნაკლიანი საქონელი, გაყიდა მოსალოდნელზე დაბალ ფასად, მიიჩნევა, რომ მყიდველს შეუძლია ფასი შეამციროს მოგების იმ მარჟით, რაც უნაკლო ნივთის გაყიდვის შემთვევაში იქნებოდა. ასეთ შემთხვევას ხშირად აქვს ადგილი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.[253]

ფასის შემცირება ითვლება უნიკალურ საშუალებად შემდეგი ფაქტორების გამო: ა) არ ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტა; ბ) მყიდველს აძლევს უფლებას ცალმხრივი ნების გამოვლენით განაცხადოს ფასის შემცირების შესახებ, მაშინაც კი თუ უკვე გადაიხადა საქონლის ფასი. გ) იგი არ ზღუდავს მყიდველს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება; დ) არ არის აუცილებელი ხელშეკრულების დარღვევა იყოს არსებითი; ე) ასევე სხვა მეორადი მოთხოვნის საშუალებებისაგან განსხვავებით, არ მოითხოვება

[253] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 243-244; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf

გონივრული ვადის დაცვას; და ვ) მყიდველი არ არის ვალდებული დააბრუნოს საქონელი.[254]

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და უნიფიცირებული აქტები ანალოგიურად არეგულირებენ ფასის შემცირების საკითხს.

3.3 ხელშეკრულებიდან გასვლა

როგორც ზემოთ არაერთხელ ვიხილეთ, გარკვეული წინაპირობების არსებობისას კანონი მხარეებს ანიჭებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.[255] გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნები ერთმანეთისაგან განასხვავებენ კანონისმიერ და ხელშეკრულებისმიერ გასვლის უფლებას. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხარეებმა თვითონ შეათანხმონ ხელშეკრულებაში. არ არის აუცილებელი, რომ ხელშეკრულებისმიერი გასვლის უფლება ხელშეკრულებაში ამგვარად იყოს მოხსენიებული, ნებმისმიერი დათქმა, მათ შორის მაგალითად დათქმა „თავისუფალია“, „აღარ არის ვალდებული“ და ა. შ. შეიძლება განიმარტოს, როგორც ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლება.

ხელშეკრულებიდან გასვლას არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლი, ვენის კონვენციის 49-ე მუხლი, ევროპის სახელშეკრულებო პრინციპებში აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს 9:301-9:305 მუხლები და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპებში 7.3.1. მუხლი. სსკ-ს 491-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი - მოშლა არ არის ზუსტი. როგორც წესი, ხელშეკრულების მოშლა გამოიყენება გრძელვადიანი ხელშკრულებების მიმართ და სამართლებრივი შედეგიც სხვაგვარია.

როგორც წესი, ხელშეკრულების მოშლა გამოიყენება გრძელვადიანი ხელშკრულებების მიმართ და სამართლებრივი შედეგიც სხვაგვარია. აქედან გამომდინარე, განსახილველი შემთხვევა განიმარტება, როგროც ხელშეკრულებიდან გასვლა.[256] რაც, შეეხება სსკ-ს 491-ე მუხლის შინაარსს, იგი ითვალისწინებს, მყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლას ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში. აღნიშნული მუხლი მიუთითებს სსკ-ს 352-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც თავის მხრივ მიუთითებს სსკ-ს 405-ე მუხლზე, რომელიც ადგენს პირობებს, რომლიც არსებობის შემთხვევაში მხარეს ეძლევა უფლება გავიდეს ხელშეკრულებიდან. კერძოდ, დამატებითი ვადა (კერძოდ 490-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებით შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა) უშედეგოდ

---

[254] Sandahl, Erika; Understanding the Remedy of Price Reduction – A Means to Fostering a More Uniform Application of The United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2003; http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/sondahl.html

[255] ძლიერიშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2004წ. გვ.405;

[256] მაჭარაძე, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა—განსხვავება და სამართლებრივი შედეგები, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალურიგამოცემა, 2008, გვ.146;

უნდა იყოს გასული ან არსებობდეს 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დამატებით ვადის განსაზღვრის გამომრიცხავი საფუძვლები.[257]

იმისათვის, რომ მყიდველი გავიდეს ხელშეკრულებიდან, საკმარისია, ნივთი ნაკლიანი იყოს. არ აქვს მნიშვნელობა გამყიდველმა იცოდა თუ არა ნივთის მიწოდების მომენტსი ნივთის მდგომარეობა, შესაბამისად არ აქვს მნიშვნელობა ბრალეულობის ელემენტს.[258] ასევე აღსანიშნავია, რომ მყიდველის მიერ განსაზღვრული დამატებითი ვადა უნდა გავიდეს უშედეგოდ, ხოლო თუ დამატებითი ვადა არ გამოიყენება ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყენება გაფრთხილების ფორმა.

სამივე უნიფიცირებული აქტი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მიზნებისათვის ხელშეკრულების დარღვევას ყოფს პირობით ორ სახედ: 1) ნაკლიანი ნივთის მიწოდება და 2) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილება. ვენის კონვენციის 49-ე მუხლი განსაზღვრავს პირობებს, რომელთა არსებობის დროსაც კონტაჰენტს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან და ცალმხრივი ნების გამოვლენით შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა. კერძოდ, ზემოაღნიშნული შესაძლებელია : 1) თუ მყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევას აქვს არსებითი ხასიათი (დარღვევა უნდა აკმაყოფილებდეს არსებითობის ყველა კრიტერიუმს 25-ე მუხლის შესაბამისად) ან 2) თუ საქონელი არ იქნა მიწოდებული იმ ვადის გასვლამდე, რომელიც ვალდებულების შესასრულებლად დამატებით განუსაზღვრა მყიდველმა გამყიდველს (ვენის კონვენციის 47-ე მუხლის მიხედვით).[259]

ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებია:

3.3.1. შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისევე როგორც ყველა უნიფიცირებული აქტი, ავალდებულებს მყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეატყობინოს დამრღვევ მხარეს. კერძოდ სსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ გაცემული შეტყობინება მიღბასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენაა. თუმცა, მიღებასავალდებულობა არ ნიშნავს რომ მეორე მხარე უნდა ეთანხმებოდეს მას. ნების გამოვლენა ნამდვილია, როდესც იგი მეორე მხარეს მიუვა.[260]

---

[257] ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge , 26.03.2016, 491-ე მუხლი;

[258] საქართველოსუზენაესისასამართლოს2011 წლის26 დეკემბრისNას-1434-1449-2011გადაწყვეტილება;

[259] ვენის კონვენცია; 1980; მუხლი 49; ევროპის სახელსეკრულებო პრინციპები; 1999; მუხლი 9:301 და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები, 2010; მუხლი 7.3.1;

[260] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბილისი 2001 წ. გვ 255-256

ვენის კონვენციის 26-ე მუხლის მიხედბით, მყიდველი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, თუკი არ შეატყობინებს მეორე მხარეს. არცერთი უნიფიცირებული აქტი და არც სსკ, არ ადგენს კონკრეტულ ფორმას შეტყობინებისთვის.შესაძლოა აღნიშნული ფომრა მხარეებმა განსაზღვრონ თავად ხელშეკრულებით. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებიდან გამომდინარე, შეტყობენა, როგორც წესი წერილობითი ფორმით ხორციელდება: ფაქსით, ელ. ფოსტით და ა.შ.

არსებობს ერთადერთი გამონაკლისი - იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი საბოლოოდ უარს იტყვის ხელშეკრულების შესრულებაზე და ნათელია, რომ მყიდველი არ მოითხოვს დამატებით შესრულებას, - შეტყობინების გაგზავნა შესაძლებელია არ იყოს სავალდებულო.[261]

3.3.2. არსებითი დარღვევა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა

წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ შეუსრულებლობა, ვადის დაწესების მიუხედავად (კონვენციის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) ქვეპუნქტი), არამედ, ისევე, როგორც დამატებითი შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების არსებითი დარღვევა (კონვენციის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) ქვეპუნქტი). ვენის კონვენციის 49-ე მუხლი დარღვევის სახეს ყოფს ორ ნაწილად: ნაკლის მქონე საქონლის მიწოდება (იგ. უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლი) და საქონლის მიუწოდებლობა დადგენილ ვადებში.[262] დარღვევა უნდა იყოს არსებითი და აკმაყოფილებდეს ვენის კონვეცნიის 25-ე მუხლს, რომელიც ზემოთ განვიხილეთ.[263] დარღვევა უნდა იყოს იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მყიდველის ინტერესების დაცვა სხვაგვარად შეუძლებელი იყოს და რჩებოდეს მხოლოდ ერთადერთი გზა: ხელშეკრულებიდან გასვლა. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. თუმცა როდის შეიძლება ჩაითვალოს დარღვევა მნიშვნელოვანად, ამასთან დაკავშირებით სსკ-ი არაფერს ამბობს. აღნიშნული საკითხი, როგორც ჩანს სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს. მიმაჩნია, რომ დარღვევის არსებითობის კრიტერიუმების საკანონმდებლო დონეზე დაურეგულირებლობა, სსკ-ის ხარვეზს წამოადგენს და ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად კარგი იქნება, თუ ზემოთ აღნიშნულ უნიფიცირებულ აქტებში არსებულ ნორმებს გამოვიყენებთ.

---

[261] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 236; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf

[262] ვენის კონვენცია; 1980; მუხლი 49;

[263]Korpinen A; University of Helsinki, Finland; “On legal uncertainty regard timely notification of avoidance of the sales contract”; June 2004; http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/korpinen.html

3.3.3. დამატებითი ვადის განსაზღვრა

მსგავსად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლისა, ევროპის სახელშეკრულებო პრინციპების 9:301 მუხლი; ვენის კონვენციის 49-ე მუხლი და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპების 7.3.1. მუხლი, განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორე მნიშვნელოვან საფუძველს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს დადგენილ ვადაში საქონლის მიუწოდებლობას.[264] მყიდველს აქვს უფლება გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ გამყიდველი არ ასრულებს ვალდებულებას დამატებით ვადაშიც ან გამყიდველი განაცხადებს, რომ დამატებით ვადაშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, - საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში მიღებულია, რომ ასეთ დროს მყიდველს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან მას შემდეგ, რაც გამყიდველი განუცხადებს უარს შესრულებაზე, თუნდაც დამატებითი დრო ჯერ კიდევ არ იყოს გასული.[265]

როგორც ჩანს, არსებითი დარღვევის გარდა, მყიდველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება, მაგრამ არა დაუყონებლივ, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამყიდველი დაარღვევს მიწოდების ვალდებულებას.[266] მიწოდება კი მიჩნეულია ისეთ არსებით ვალდებულებად, რომ მისი დარღვევა, თუნდაც ეს არ იყოს არსებითი, საშუალებას იძლევა, გამოყენებულ იქნას ე.წ. „Nachfrist" მოშლის მექანიზმი. აღნიშნული ინსტიტუტი გერმანული სამართლიდან მომდინარეობს. „Nachfrist"- ის შეტყობინება მოიცავს საფუძველს ხელშეკრულების მოშლისათვის იმის დამტკიცების გარეშე, რომ ვადის გადაცილება იმ დამატებითი დროის შემდეგ, რომელიც მითითებულია ამ შეტყობინებაში, არის არსებითი დარღ0ვევა.[267] მნიშვნელოვანია აქ ის, რომ გამყიდველის მიერ ამ შეტყობინების შესაბამისად შესრულების განუხორციელებლობა საფუძველი არის ხელშეკრულების მოშლის მხოლოდ მაშინ, როდესაც გამყიდველი არ ახორციელებს საქონლის მიწოდებას.

თუმცა შესაძლებელია იყოს შემთხვევები, როდესაც თავიდანვე განსაზღვრულ დროს საქონლის მიუწოდებლობა მოიაზრებოდეს ვალდებულების არსებით დარღვევად. ასეთ დროს მყიდველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება დამატებითი დროის დაწესების გარეშე.[268] სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ 1) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება, ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ

---

[264]ვენის კონვენცია; 1980; მუხლი 49; ევროპის სახელსეკრულებო პრინციპები; 1999; მუხლი 9:301 და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები, 2010; მუხლი 7.3.1;

[265]UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 238; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf

[266] BGHZ 13, 113; BGHZ 50, 35; BGHZ 62, 124; BGHZ 98, 334.

[267] SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 12; COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 387.

[268] DiPalma M; Nachfrist under National law, the CISG, and the UNIDROIT and European Principles: A Comparison; http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/DiPalma.html

ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას; და გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით გამართლებულია, ხელშეკრულების დაუყონებლივ მოშლა.

დამატებითი ვადის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, რომ ეს ვადა იყოს გონივრული. ვადის ზუსტ ხანგრძლივობას უნიფიცირებული აქტები არ არეგულირებენ. თუმცა ეს საკითხი შეიძლება ხელშეკრულებით იყოს განსაზღვრული. ევროპის სახელშეკრულებო პრინციპების 8:106-ე მუხლის მიხედვით ვადის გონივრულობასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები: ა) თუ თავდაპირველი შესრულებისათვის დადგენილი ვადა მოკლე იყო, მაშინ დამატებით შეიძლება განისაზღვროს მოკლე პერიოდი; ბ) მყიდველისათვის აუცილებელია სწრაფი შესრულება; გ) შესრულების ბუნება, - თუ შესასრულებელია მთელი რიგი ვალდებულები, შეიძლება ამან მეტი დრო მოითხოვოს, ვიდრე ერთი კონკრეტული ვალდებულების შესრულებამ; დ) ასევე ის, თუ რამ გამოიწვია შეფერხება, - იყო ეს გულგრილობის ბრალი თუ ფორსმაჟორის.[269]

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრას, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი წინაპირობას, სართო ჯამში საქართველოს სამოქლაქო კოდექსი უნიფიცირებული აქტების მსგავსად არეგულირებს.

3.3.4. ხელშეკრულებიდან გასვლის შემზღუდავი გარემოება

როგორც წესი, მყიდველს არ შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან დამატებით განსაზღვრული ვადის პერიოდში, სხვა შემთხვევაში შესაბამისი საფუძვლების არსებობისას მას შეუძია ეს გააკეთოს ნებიმიერ დროს.თუ საქონელი მიწოდებული იყო, ეს პრინციპი იზღუდება გარკვეულ შემთხვევებში. ასეთ დროს მყიდველს შეუძლია განაცხადოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ გონივრულ ვადაში. თუ რა ითვლება გონივრული ვადის ათვლის წერტილად, ანუ როდიდან იწყება მისი ათვლა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სახის დარღვევაა.[270] საქონლის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში, ვადა აითვლება მას შემდეგ, რაც მყიდველისათვის გახდა ცნობილი, რომ საქონლის მიწოდება განხორციელდა. სხვა შემთხვევაში ეს ვადა იწყებს მოქმედებას, მას შემდეგ რაც გამყიდველმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვევის შესახებ[271]. ეს თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ მყიდველმა იცის დარღვევის ფაქტი და მოცულობა, და შეუძლია შეაფასოს, დარღვევა არსებითია, თუ არა. თუ მყიდველი გამყიდველს განუსაზღვრავს დამატებით ვადას შესასრულებლად (ვენის კონვენციის 47-ე მუხლი) ან

---

[269] Lando O., Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace International Law Review, Vol. 13, Issue 2, 2001, გვ. 364

[270] *Emmerich*, BGB-Schuldrecht Besonderer Teil, § 3 IV 1 Rn. 14.

[271] *Medicus*, Bürgerliches Recht, Rn. 275.

გამყიდველი მოითხოვს გარკვეულ პერიოდს ნაკლის გამოსასწორებლად (ვენის კონვენციის 48-ე მუხლი), - გონივრული ვადა ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე განცხადების გაკეთებასთან დაკავშირებით, მოქმედებას იწყებს ზემოაღნიშნული პერიოდის შემდეგ.[272] იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული პირობები არ იქნება დაცული და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდება, მყიდველი, არსებული პრაქტიკის მიხედვით, მიმართავს ფასის შემცირების მოთხოვნას. ფასის შემცირების მოთხოვნას ხშირად იგივე ეფექტი შეიძლება ქონდეს, რაც ხელშეკრულებიდან გასვლას, იმ განსხვავებით, რომ ასეთ დროს, მყიდველი არ არის ვალდებული დააბრუნოს მიღებული საქონელი. [273]

აღნიშნული საკითხის განხილვისას, უნდა აღინიშნოს შემდეგი - მაგალითად ვენის კონვენცია ზუსტად განსაზღვრავს, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობისას მყიდველს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან ნებისმიერ დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევანის უფლება მყიდველზეა. თუმცა ამ წესიდან უშვებს გარკვეულ ზემოაღნიშნულ შეზრუდვებს. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოვალე (ჩვენს შემთხვევაში - გამყიდველი) უფლებასმოსილია განუსაზღვროს კრედიტორს (მყიდველს) ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.[274] სამქოალაქო კოდექსის ეს ჩანაწერი გარკვეულწილად ეწინააღდეგება საერთაშორისო ნორმებს, რადგან დამრღვევ მხარეს უფლებას აძლევს მყიდველს შეუზღუდოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუნდაც დროის გარკვეულ მონაკვეთში, თუ სახეზეა შესაბამისი საფუძვლები: ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა, დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლა. საერთოდ გაუგებარია, თუ რა მიზანს ემსახურება სსკ-ის ეს ნორმა. ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ თავად ხელშეკრულებიდან გასვლის შეზღუდვებთან დაკავშირებულ საკითხებს უნიფიცირებული აქტები უფრო დეტალურად არეგულირებენ, ვიდრე სსკ-ი.

3.3.5. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები

ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის თავისებურება მის სამართლებრივ შედეგში მდგომარეობს - ორმხრივი რესტიტუცია, მხარეებს აღუდგებათ ის მდგომარეობა, რაც არსებობდა ხელშეკრულების დადებამდე. ამ მიზნის მიღწევას კანონი ორი საშუალებით ცხდილობს: ნატურით დაბრუნებას, ფულადი ანაზღაურებას ან/და ზიანი ანაზღაურებას.

---

[272] BGHZ 13, 113; BGHZ 50, 35; BGHZ 62, 124; BGHZ 98, 334.

[273] UNCITRAL Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012; გვ 239; http://www.cnudmi.org/pdf/english/clout/CISG-digest-2012-e.pdf

[274] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბილისი 2001 წ. გვ 446;

I. ნატურით გადაცემა

ნატურით დაბრუნების დროს, მხარეები უბრუნებენ ერთამენთს იმას, რაც მათ ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს. აღსანიშნავია, რომ მხარეს არ აქვს არჩევანის უფლება ნატურით დაბრუნებასა და ფულად კომპენსაციას შორის.[275] ფულადი კომეპანსაციის გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც დაბრუნება შეუძლებელია ნატურით, ხოლო ზიანის ანაზღაურება ხდება წინაპირობების არსებობისას.როგროც წესი, ნატურით გადაცემა გავრცელებულია იმ შემთხვევასი, როდესაც ხელშეკრულების საფუძველზე ნივთის გადაცემა მყიდველზე. უნიფიცირებულ აქტებში ანალოგიურად რეგულირდება ეს საკიტხი, მაგალითად ვენის კონვენციის 82-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. თუმცა ევალებათ ერთმანეთს დაუბრუნონ ის, რაც ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს, მყიდველის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს მიღებული საქონლის დაბრუნების ვალდებულება, ხოლო გამყიდველის შემთხვევაში - მიღებული ანაზღაურების უკან დაბრუნების ვალდებულება.[276]

II.ფულადი ანაზღაურება

ფულადი ანაზღაურება არ ნიშნავს, იმას, რომ ფული მეტად ღირებულია ვიდრე, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება,[277] ეს ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია ნივთის დაბრუნება მხარისთვის. რადგანაც ფული არის უნივერსალური ეკვივალენტური საშუალება, სწორედ აღნიშნულით ხდება შესაბამისი რაოედნობით რესტიტუცია. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუკი ნივთი გაფუჭდა, დაზიანდა, მალფუჭებადია.

უფლება მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, თავის მხრივ მყიდველს ავალდებულებს, დააბრუნოს მიღებული საქონელი იმ მდგომარეობაში, როგორშიც მიიღო. თუ მყიდველისათვის შეუძლებელია მიღებული საქონლის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება, მაშინ იგი კარგავს უფლებას მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. თუმცა ვენის კონვენციის 82-ე მუხლის თანახმად ამ წესიდან არსებობს მნიშვნელოვანი გამონაკლისებიც. კერძოდ, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ა) თუ საქონლის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების შეუძლებლობა არ არის გამოწვეული მყიდველის მოქმედებით ან დაუდევრობით, ბ) თუ საქონელი უვარგისი გახდა ან გაფუჭდა კონვენციის 38-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის შემოწმების შედეგად, ან გ) საქონელი ან მისი ნაწილი გაიყიდა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ან მოხმარებულ იქნა ან გადაკეთდა მყიდველის მიერ მისი

[275] ძლიერიშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2004წ. გვ.511;
[276] Lookofsky J; The 1980 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; Artikle 81; Effects of Avoidance; http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/loo81.html
[277] ძლიერიშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2004 წ. გვ, 512;

ჩვეულებრივი გამოყენების მიზნით მანამ, სანამ იგი აღმოაჩენდა შეუსაბამობას ან უნდა აღმოეჩინა იგი.[278]

III. ზიანის ანაზღაურება

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება, არ ზღუდავს მყიდველის უფლებას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ თუ მყიდველმა დაკარგა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, იგი ინარჩუნებს უფლებას სამართლებრივი დაცვის ყველა სხვა საშუალებაზე.

სსკ-ს 352-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, კრედიტორი უფლებამოსილია ვალდებულების დარღვევისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სსკ-ს 394-ე მუხლისთ განსაზთავრული წესით, რომლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორის შეუძლია ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება თავისთავად არ ნიშნავს პირველადი ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგს.[279] პირველადი ავლდებუელბის დარღვევის სამართლებრივი შედეგი გახდა სწორედ ხელშეკრულებიდან გასვლა და რესტიტუცია.აღნიშნული მუხლებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად დადგენილი ნატურით დაბრუნების ვალდებულების დარღვევაზე, რის შედეგადაც კრედიტორის მაიდგა ზიანი.[280]

მიღებული საქონლის დაბრუნებასთან ერთად, მყიდველის ვალდებულებას წარმოადგენს, ყველა იმ სარგებლის გადაცემა გამყიდველისათვის, რომელიც მიიღო საქონლისაგან ან მისი ნაწილისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, რაც განასხვავებს ხელშეკრუელბიდან გასვლას, ყველას სხვა მეორადი მოთხოვნის საშუალებისგან არის ის, რომ იგი იწვევს სახელშეკრულებო ვალდებულებების შეწყვეტას.

---

[278] Tallon D; article 82; http://cisgw3.law.pace.edu/cisg/biblio/tallon-bb82.html

[279] ჯუღელი გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ი., ჯანაშია ი., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 126.

[280] ძლიერიშვილი, სახელსეკრულებო სამართალი, 2004წ. გვ. 513;

დასკვნა

წინამდებარე კვლევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მყიდველის მეორადი მოთხოვნების უფლებებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას, სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს უნიფიცირებულ აქტებში სავაჭრო ურთიერთობებში არსებულ მიდგომებს.თუმცა შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებობს გარკვეული ხარვეზები. ნაშრომის საფუძველზე, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, როელიც კარგი იქნება, თუკი გათვალისწინებული იქნება. რეკომენდაციები კი მდგომარეობს შემდეგში:

1. ანალიზმა აჩვენა, რომ მყიდველის მეორადი უფლებების წარმოშობის უმთავრესი საფუძველია ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამყდიველის მიერ. დარღვევის გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ნაკლის მქონე საქონლის მიწოდება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქონელი ნაკლის მქონეა, არ არის საფუძველი მყიდველმა მიმართოს დაცვის რომელიმე საშუალებას. თავის მხრივ, მეორე მოთხოვნა, არის ის, რომ მყიდველმა უნდა შეატყობინოს ამის შესახებ გამყიდველს. განსხვავება უნიფიცირებულ აქტებსა და სამოქალაქო კოდექსს შორის არის ვადის განსაზღვრისთვის აღნიშნულ ტერმინში, კერძოდ, ვენის კონვენციის 39-ე მუხლი, მსგავსად სხვა უნიფიცირებული აქტებისა, იყენებს ტერმინს „გონივრული ვადა“, კერძოდ, მყიდველი კარგავს უფლებას მიუთითოს საქონლის შეუსაბამობაზე, თუ იგი არ შეატყობინებს საქონლის შეუსაბამობის შესახებ გონივრულ ვადაში, მას შემდეგ რაც მან აღმოაჩინა, ან უნდა აღმოეჩინა ეს შეუსაბამობა. სსკ-ს 495-ე მუხლის 1-ლი ნაწილში გამოყენებული ტერმინი ,,შესაბამისი ვადა“. სავარაუდოდ ორივე შემთხვევაში კანონმდებელს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებდა, თუმცა მიმაჩნია, რომ ტერმინი „გონივრული ვადა“ უფრო მართებულია მოცემულ სიტუაციაში, ვინაიდან იგი თავისი არსით შეფასებითი კატეგორიაა და გულისხმობს ყველა გარემოების გათვალისწინებით მის დადგენას, ასევე ნაკლებად იძლევა მყიდველის მხრიდან მანიპულირების საშუალებას.რაც შეეხება „შესაბამის ვადას“, - ვფიქრობ, რომ იგი თავის თავში გულისხმობს შესაბამისობას რაიმე ფაქტთან ან გარემოებასთან, მაგალითად ეს შეიძლება იყოს ხელშეკრულების პირობები და ა.შ. შესაბამისად მიმაჩნია, რომ უნიფიცირებულ აქტებში დაფიქსირებული ტერმინი უფრო ფართო ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და უპრიანი იქნება მისი გამოყენება.
2. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ სსკ-ს 495-ე მუხლი ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას ჯერ შემოწმებას, შემდგომ შეტყობინების ვალდებულებას აკისრებს მყიდველს იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეა. ვენის

კონვენციის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილი კონვენციის გამოყენების სფეროს განსაზღვრისას კი მხედველობაში არ იღებს მხარეთა სამეწარმეო სტატუსს. ვენის კონვენცია არის საერთასორისო ხასიათის, თუმცა ამის მიუხედავად, უმჯობესი იქნება თუ სსკ-ი არამეწარმე პირისგანაც მეტ ყურადღებიანობას მოითხოვს.

3. სამივე უნიფიცირებული აქტის მიხედვით, დარღვევა იყოფა არსებით და არაარსებით დარღვევად. ასევე, ვენის კონვენცია განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლის არსებობის შემთხვევაში დარღვევა ითვლება არსებითად, რაც მეორადი მოთხოვნების გამოყენების წინაპირობაა. ვენის კონვენციის 25-ე მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა არსებითია, თუ ამას მოჰყვა მეორე მხარის ისეთი ზიანი, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანწილად კარგავს იმას, რისი მიღების იმედიც ხელშეკრულების საფუძველზე სამართლიანად ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვერ ითვალისწინებდა ასეთ შედეგს და მის ადგილას ანალოგიურ პირობებში მყოფი გონიერი პიროვნება ვერ გაითვალისწინებდა ამგვარ შედეგს. სსკ-ში აღნიშნული საკითხის რეგულირებას, - 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლისასთვის აუცილებელია დარღვევა იყოს მნიშვნელოვანი. თუმცა რა გარმოებების არსებობის შემთხვევაში მიიჩნევა დარღვევა მნიშვნელოვნად, ამაზე არაფერს ამბობს. მიმაჩნია, რომ დარღვევის საკნონმდებლო დონეზე რეგულირების საკითხო რეკომნდირებულია სამოქალაქო კოდექსისათვის, ვინაიდან მოუწესრიგებლობა წარმოადგენს ხარვეზს.
4. განსხვავებით უნიფიცირებულია ქტებისგან, სსკ მნიშვნელოვან დარღვევას, მხოლოდ გასვლის აუცილებელ წინაპირობად თვლის. რაც შეეხება ვენის კონვეცნიას, დარღვევის არსებითობა საქონლის შეცვლის მოთხოვნის უფლების საფუძველიც არის. სამართლებრივი დაცვის ამ საშუალების მძიმე ხასიათიდან გამომდინარე, უპრიანი ქინება თუკი ვენის კონვენციის ნორმებს გამოვიყენებთ.
5. უნიფიცირებული აქტების თანახმად მყიდველს აქვს უფლება შესაბამისი პირობების არსებობისას აირჩიოს მეორად მოთხოვნებთაგან ერთ-ერთი. მყიდველის აღნიშნულ უფლებას აწესებს ვენის კონვენციის 45-ე მუხლი. რაც შეეხება სსკ-ის 490-ე მუხლს, - იგი გამყიდველს აძლევს უფლებას აირჩიოს, თუ რომელი საშუალება გამოიყენოს ნაკლის მქონე საქონლის მიწოდებისას: განახორციელოს საქონლის შეცვლა, თუ ნაკლის გამოსწორება. მიმაჩნია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული ნორმა არასწორია, ვინაიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დაზარალებული მხარის პრეროგატივა უნდა იყოს, თუ დაცვის რომელ საშუალებას მიმართავს და არა დამრღვევი მხარის. მნიშვნელოვანია აქვე

აღინიშნოს ისიც, რომ საქონლის შეცვლის უფლების გამოყენებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს. (ამ საკითხს არეგულირებს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებაში - მუხლი 352-ე მუხლი).

6. ასევე, ვენის კონვენციის 49-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობისას მყიდველს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან ნებისმიერ დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევანის უფლება მყიდველზეა. თუმცა ამ წესიდან უშვებს გარკვეულ შეზრუდვებს, რაც წარმოდგენილი ნაშრომის მე-3 თავში დაწვრილებით იქნა განხილული. სსკ-ის 405-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოვალე (გამყიდველი) უფლებასმოსილია განუსაზღვროს კრედიტორს (მყიდველს) ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა. მიმაჩნია, რომ აღნიშნული ჩანაწერი საერთოდ ეწინააღდეგება საერთაშორისო ნორმებს, ვინაიდან დამრღვევ მხარეს უფლებას აძლევს მყიდველს შეუზღუდოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუნდაც დროის გარკვეულ მონაკვეთში, თუ სახეზეა შესაბამისი საფუძვლები: ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევა, დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლა.

ამდენად მიმაჩნია, რომ უმჯობესი იქნება, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მყიდველის მეორადი მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულ იქნება ზემოაღნიშნული რეკომენდაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

1) ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (The Principles of European Contract Law (PECL), 1999;
2) ვენის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ“ (The United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG), 1980;
3) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997; (10.08.2013. კოდიფიკაცია);
4) უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპები (The Principles of International Commercial Contracts (PICC), 2010;

სამეცნიერო ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა

5) ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი; თბ. 1999;
6) ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი; თბილისი, 1999წ.
7) ბაღიშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.08.2016, მუხლი 327, ველი 6
8) ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების , ხელშეკრულებიდან გასვლის და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეც გამოცემა, თბილისი, 2008წ.
9) ბაჩიაშვილი ვ. დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეც. გამოცემა; თბილისი 2008;
10) ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შერსულების შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი ,,სარჩევი“, #1 (2),თბილისი, 2011წ,
11) ბეგიაშვილი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის მოწესრიგების მიზანშეწონილობა, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2013წ.
12) ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, თბილისი.
13) ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები,2005წ,
14) ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში , თბილისი, 2005წ.

15) ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001წ.
16) იოსელიანი ს., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნალი ,,ქართული სამართლის მიმოხილვა". სპეც. გამოცემა, თბილისი, 2007 წ,
17) კროპჰოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი,2011.
18) მაჭარაძე, ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა—განსხვავება და სამართლებრივი შედეგები,ჟურნალი ,, ქართული სამართლის მიმოხილვა", სპეც. გამოცემა, თბილისი, 2008წ.
19)მეტრეველი ვ. რომის სამართლის საფუძვლები; თბ 2005;
20)საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მეოთხე; ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი პირველი; თბილისი 2001 წ
21)საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბილისი 2001 წ;
22) ჩაჩავა ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი,gccc.ge , 06.04.2016, 477-ე მუხლი, ველი 8;
23) ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებისა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2014 წ.
24) ძლიერიშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2004 წ.
25) ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2000წ.
26)ჭანტურია ლადო. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2000წ;
27) ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი; თბილისი 2001 წ.
28) ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2008 წ. გვ.130.
29) ჯუღელი გ., ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ი., ჯანაშია ი., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014
30) კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი., 2009.
31) ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომც. „სიესტა", თბ., 2009.

უცხოენოვანი ლიტერატურა

1) *Schellhammer*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 9. Auflage,
2) Veziroglu C; The Concept of Fundamental Breach in the CISG.
3) AnwKBGB-Magnus, vor §§249-255, Rn. 17.
4) Baumbach/Hopt, HGB, 35. Aufl., 2012.

5) Beckmann,in StaudingerBGB, Buch 2, 14. Aufl., 2004.
6) BGH NJW 1968.
7) Canaris/Grigoleit, Interpretations of Contracts, in: Towards a European Civil Code, 3rd ed., 2004.
8) Chengwei L; "Remedies for Non-performance – Perspectivves from CISG, UNIDROIT Principles and PECL; 2005.
9) Cloppenburg, Mahnken, Haftungsbeschränkungen im Anlagenbau und AGB-Recht, NZBau, Heft 12, Verlag C.H. Beck München, 2014.
10) COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung, 384.
11) COESTER-WALTJEN/MÄSCH, Übungen in internationalem Privatrecht und Rechtsvergleichung.
12) *Emmerich*, BGB-Schuldrecht Besonderer Teil,
13) Emmerich, BGB-Schuldrecht Besonderer Teil, § 3 IV 1 Rn. 14
14) Farnsworth, Allan Farnsworth, Precontractual Liability and Preliminary Agreements: Fair Dealing and Failed Negotiations, Columbia Law Review, Vol. 87, No. 2, 1987.
15) Faust, in Beck OK BGB, § 433, Rn. 30
16) Faust,inBeck OK BGB, §439 Rn.21.
17) Flume, Allgemeiner Teil II, 279; BGHZ 48,
18) *Graffi,* Remarks on Trade Usages and Business Practices in International Sales Law, Journal of Law and Commerce, Vol. 29:273, 2011.
19) Grüneberg, in Palandt BGB Komm, 77.
20) Grüneberg, in Palandt BGB Komm, 77.
21) Heinrichs, in Palandt BGB Komm., 72. Aufl., § 294, Rn. 2.
22) Heinrichs, in Palandt BGB Komm., 72. Aufl., § 304, Rn. 2.
23) *Honnold,* Uniform Law for International Sales under the 1980 United Nations Convention, 2nd ed., Kluwer Law International, 1991.
24) Janoschek, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3.
25) Janoschek, Beck'scher Online-Kommentar BGB, §339, Rn. 3.
26) jurisPK-BGB/*Geisler*, 4. Aufl.
27) Köhler, Vertragsstrafe und Schadenersatz, GRUR, Heft 4, Verlag C.H. Beck, München, 1994.
28) Koskinen, jussi; "CISC, specific Perormance and Finish law"; Finland, turku,; 1999.
29) Lando O.Salient Features of the Principles of European Contract Law: A Comparison with the UCC, Pace International Law Review, 2001.
30) Larenz, Lehrbuch des Sculdechts, Band 1, Allgemeiner Teil, 14 Auflage, 1987.
31) Markesinis, Unberath, Johnston, The German Law of Contract (A Comparative Treatise) Second edition, 2006.
32) Markesinis/Lorenz/Dannemann, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution : A Comparative Introduction, 1997.

33) Markesinis/Lorenz/Dannemann, The German Law of Obligations: The Law of Contracts and Restitution : A Comparative Introduction, 1997.
34) *Medicus*, Bürgerliches Recht, Rn. 275.
35) MüKo/*Gottwald*, BGB, 7. Auflage, 2016.
36) MüKo/Schmidt, HGB, 2. Auflage 2009.
37) MüKo/Westermann,BGB, 6. Aufl., 2012
38) Münchener Kommentar (Kramer, § 145 Rn. 10).
39) Nussbaum, Comparative Aspects of the Anglo-American Offer-and-Acceptance Doctrine, Columbia Law Review
40) Palandt, BGB, &362.
41) Palandt/Heinrichs, $242, Rn 3.
42) Perillo M. Joseph, Force majeure and Hardship under UNIDROIT principles of international commercial contracts. http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/perillo3.html, (ნანახია 30.05.2019).
43) Sacco, Formation of Contracts, in: Hartkamp/Hesselink/Hondius/Joustra/Perron, Towards a European Civil Code, 2nd edition, 199
44) Schellhammer, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, 9. Auflage, S. 796.
45) SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 25; KAPPUS, NJW 1994, 984 (984); OLG Frankfurt, NJW 1994, 1013 (1014).
46) SCHLECHTRIEM/SCHWENZER, Art. 46 CISG Rn. 25; KAPPUS, NJW 1994, 984 (984); OLG Frankfurt, NJW 1994,.
47) Schmidt H., Beck'scher Online-Kommentar BGB, §353, Rn. 2.
48) Schuhmann, Terminsicherung im Anlagenbau: Vertragsstrafe oder pauschalierter Schadenersatz, Heft 9, Verlag C.H. Beck, München, 2009
49) UNCITRAL,Digest of Case Law on the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods; 2012.
50) Unidroit Principles of International Commercial Contracts. Official Comments Germany; 25 june, 1996.
51) Veziroglu C; The Concept of Fundamental Breach in the CISG.
52) Zummermann/whittaker, Good Faith in Europian Contract law, Cambridge University Press, 2000.
53) *Schwenzer I.,* Force Majeure and Hardship in International Sales Contracts, 2008
54) Rimke J., Force Majeure and Hardship: Application in International Trade Practice with Specific Regard to the CISG and the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, Pace Review of the Convention on Contracts for the International Sale of Goods, Kluwer, 1999-2000
55) *Berger K.P.,* Renegotiation and Adaptation of International Investment Contracts: The Role of Contract Drafters and Arbitrators, Vand. J. Transnat'l L., Vol. 36, 2003.

56) *Bergsten E.E., Miller A. J.,* The Remedy of Reduction of Price, Am. J. of Comp. L., Vol.27, 1979, 255-277, reprinted in CISG W3 database, Pace Int'l L. Rev., 15 January, 1998.

სასამართლო პრაქტიკა

1) საქართველოსუზენაესისასამართლოს2011 წლის26 დეკემბრისNას-1434-1449-2011გადაწყვეტილება;

2) თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის N 2-14965-12 გადაწყვეტილება.

3) ICC, Arbitration Case of 26 March, 1993; N6653 [steel bars case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/936653i1.html (ნანახია 20.05.2019);

4) Switzerland, 9 September, 1993 Commerciale court Zurich [Furniture case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/930909s1.html (ნანახია 12.06.2019);

5) Germany, 18 January, 1994; Appellate Court Frankfurt, [Shoes case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/940118g1.html (ნანახია 18.05.2019);

6) Germany: 20 April, 1994; court Frankfurt (New Zealand mussels); http://cisgw3.law.pace.edu/cases/940420g1.html (ნანახია 17.05.2019);

7) Austria, 1 July 1994; Appellate court Innsbruck; [Garden flawers case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/940701a3.html (ნანახია: 15.06.2019);

8) Germany, 25 August, 1994; District Court Dusseldorf; [fashion goods case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/940825g1.html (ნანახია 13.06.2019);

9) Germany, 21 August, 1995; District Court Ellwangen; [Spanish paprika case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/950821g2.html (ნანახია 17.05.2019);

10) France, 13 September, 1995; Appellate Court; Grenoble (Cheese case) [Couto Rojer v. Societe frncouse de factoring]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/950913f1.html (ნანახია 12,08,2013);

11) Germany, 21 May, 1996; Appellate Court Koln [Used car case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/960521g1.html (ნანახია 17.05.2019);

12) Germany: 25 June, 1996; Court Paderborn (Granulated plastic case); http://cisgw3.law.pace.edu/cases/960625g1.html (ნანახია 15.05.2019);

13) Belgium, 6 October, 1997; District Court Kortrijk [Wonderfil v. Depreaeter Industries] http://cisgw3.law.pace.edu/cases/971006b1.html (ნანახია 20.05.2019);

14) Stockholm Chamber of Commerce Arbitration Award of 5 June 1998 [Beijing Light Automobile Co v. Connell]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/980605s5.html (ნანახია 17.05.2019);

15) Germany, 23 June 1998; Appellate court Hamm; [furniture case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/980623g1.html (ნანახია: 17.06.2019);
16) Switzerland, 28 October, 1998; Suppreme court; [Meat case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/981028s1.html (ნანახია: 18.06.2019);
17) Switzerland, 30 November, 1998; Commercial court Zurich; [Lambskin coat case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/981130s1.html (ნანახია 14.06.2019);
18) Austia, 27 November, 1999, Suppreme court; [Trekking shoes case]; http://cisgw3.law.pace.edu/cases/990827a3.html (ნანახია: 16.06.2019);
19) Italy, 12 July, 2000; District court Vigevano [Rheinland Versicherungen v. Atlare; http://cisgw3.law.pace.edu/cases/000712i3.html (ნანახია 25.05.2019);
20) Switzerland, 18 May, 2009; Bundesgericht [Federal Supreme Court] (Packaging machine case); http://cisgw3.law.pace.edu/cases/090518s1.html (ნანახია: 19.06.2019);
21) Mexico, 29 April; 1996; Compromex arbitration proceeding [Conservas La Costen v. Lanin; http://cisgw3.law.pace.edu/cases/960429m1.html (ნანახია 17.05.2019);